ორგანიზაციის გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს სამომავლოდ ეტაპობრივად გაზარდოს გამგეობის დამოუკიდებელ წევრთა რაოდენობა არსებული აღმასრულებელი წევრების ჩანაცვლების ან 1-2 ახალი წევრის დამატების გზით, რომელთაც ექნებათ გამოცდილება ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად სფეროებში და რომლებიც ახალ მოდგომებსა და ხედვას შეჰმატებენ გამგეობის საქმიანობას.

გამგეობა არჩევით ორგანოს წარმოადგენს. გამგეობის პირველ შემადგენლობას ირჩევენ ორგანიზაციის დამფუძნებლები, ხოლო შემდგომში — კურატორიუმის წევრები (იხ. ქვემოთ), ოთხი წლის ვადით. გამგეობის თავმჯდომარეს ირჩევენ გამგეობის წევრები საკუთარი შემადგენლობიდან, თავიანთი უფლებამოსილების ვადით (ანუ აგრეთვე 4 წლით).

„ცენტრის“ ამჟამინდელი გამგეობა არჩეული იყო 2010 წელს, 4 წლის ვადით.

ჩვენი გამგეობის წევრები არიან:

- ეკა ურუშაძე (გამგეობის თავმჯდომარე);
- ეკა დათუაშვილი;
- ლევან ავალიშვილი;
- დათო გზირიშვილი;
- ოთარ ბაბუნაშვილი;

გამგეობა, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ იკრიბება. საჭიროების შემთხვევაში ინიშნება აგრეთვე დამატებითი შეხვედრები, რისთვისაც საკმარისია გამგეობის წევრების სულ მცირე 1/3-ის მოთხოვნა.

აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც გამგეობა ნიშნავს, წარმართავს ორგანიზაციის საქმიანობას გამგეობის მიერ შემუშავებული მიზნების და ამოცანების შესაბამისად. იგი წარმოადგენს ორგანიზაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში; უზრუნველყოფს ფინანსებისა და ქონების განკარგვას დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში;

CSR DG's long-term objective is to gradually increase the number of independent Board members by either replacing current executive members or adding one or two new members who will already have experience in the main areas of the organization's activities and will bring new vision and approach to the Board's activity.

The Board is an elective body. At first, Board members are elected by the organization's founders, and later, the Curatorium elects the Board which serves for a period of four years.

Members of the present board (elected in 2010 for 4 years) are:

- Eka Urushadze (Chairperson of the Board);
- Eka Datuashvili;
- Levan Avalishvili;
- David Gzirishvili;
- Otar Babunashvili;

The Board regularly meets twice a year. When necessary, additional board meeting can be convened if requested by 1/3 of the members of the Board.

The Executive Director, appointed by the Board, directs the organization's work in accordance with the objectives and plans elaborated by the Board. Responsibilities of the Executive Director include managing CSR DG's daily activities; presenting it at various levels; reporting on the Centre's current activity to the Board; controlling expenditure of the funds; day-today management of the finances and other tangible assets of the organization, as well as responsibility for their adequate utilization; ensuring unimpeded functioning of the organization and its sustainable development; staff recruitment and capacity building; implementation of other functions required for tactical management of CSR DG's activities.

ახორციელებს ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე. უზრუნველყოფს ორგანიზაციის მდგრად განვითარებას, წარუდგენს გამგეობას ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშებს; იღებს სხვა გადაწყვეტილებებს ორგანიზაციის სანესდებო მიზნების მისაღწევად.

ორგანიზაციისათვის პრიორიტეტული მიმართულებებით საქმიანობის წარმართვის მიზნით შემუშავებულია და მოქმედებს პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებსაც ახორციელებენ შექმნილი სამუშაო ჯგუფები. მათ კოორდინირებას უწევენ პროგრამების კოორდინატორები (სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელები). პროგრამის კოორდინატორების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს პროგრამის საქმიანობის მართვა, მონიტორინგი და შეფასება, აგრეთვე პროგრამული ანგარიშების მომზადება. ისინი პასუხისმგებელინი არიან მათი უშუალო დაქვემდებარების ქვეშ მყოფი თანამშრომლების საქმიანობაზე.

პროგრამის კოორდინატორები, აღმასრულებელ დირექტორთან ერთად აგრეთვე შედიან სათათბირო ორგანოს — შუალედური მმართველის რგოლის (დირექტორატის), შემადგენლობაში. დირექტორატი წარმართავს ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას, ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში „ცენტრის“ ყველა ქვეპროგრამის კოორდინირებულ და თანაბარ მონაწილეობას. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, დირექტორატი იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს, აგრეთვე ასრულებს კონსულტანტის ფუნქციას აღმასრულებელი დირექტორის მიერ სხვადასხვა საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას. დირექტორატი, სულ მცირე, თვეში ერთხელ იკრიბება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირად.

„ცენტრს“ აგრეთვე ჰყავს სამეთვალყურეო ორგანო — კურატორიუმი, რომელიც აკონტროლებს გამგეობის საქმიანობას და ორგანიზაციის მმართველობას კანონისა და ნესდების საფუძველზე; აგრეთვე გამგეობის სხდომაზე წარადგენს საკონსულტაციო მოსაზრებებს ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი საქმიანობისა და სტრატეგიის შესახებ.

კურატორიუმი შედგება სამი წევრისაგან, რომელთაც ირჩევენ ფონდის დამფუძნებლები, განუსაზღვრელი ვადით. კურატორიუმის წევრები არ იღებენ დამატებით ანაზღაურებას

In order to carry out activities in CSR DG's priority areas, programs and sub-programs have been developed which are implemented by work groups. The groups are coordinated by program coordinators (heads of the work groups). The main functions of the program coordinators are: management, monitoring and evaluation of the program activities, and preparation of program reports. They are also responsible for the activities of the personnel under their supervision.

Program coordinators and the executive director also form CSR DG's consultative body - the Intermediate Managerial Unit (IMU) or Directorate. The aim of the middle managerial unit is to direct the daily activities of the organization and ensure equal participation by middle-level managers in decision-making on issues of various importance. Within its competence, the IMU takes independent decisions. Also, the unit has a consultative function regarding final decisions made by the Executive Director. The intermediate managerial unit meets with the Executive Director at least once a month, or more often if necessary.

The Curatorium is CSR DG's supervisory body which controls the Board's activities and the performance of the administration on the basis of the Law and Charter; and presents advisory opinion at the Board meetings concerning the activities and strategies to be implemented by the organization. The Curatorium has three members elected by the Centre's founders for an indefinite period of time. The members of the Curatorium work in a voluntary capacity.

და მოხალისეობრივ საწყისებზე მუშაობენ.

საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრული ვადით და კონკრეტული მიზნით გამგეობის გადაწყვეტილებით იქმნება ექსპერტთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს. ექსპერტთა საბჭოს ძირითადი ფუნქციაა „ცენტრის“ მიერ განსახორციელებელი პროგრამების ექსპერტიზა.

თანამშრომლეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პორცესში

„ცენტრი“ ცდილობს ეფექტური კომუნიკაციისა და თანამონაწილეობითი მიდგომების მეშვეობით უზრუნველყოს, რომ ყველა თანამშრომლის აზრი მოსმენილი და შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იყოს ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას.

ორგანიზაციაში შექმნილია და ფუნქციონირებს კომინუკაციისა და ინფორმაციის გაცვლის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მექანიზმები, კერძოდ:

- ყველა თანამშრომლის ყოველთვიური კრება, რომელზეც ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია თავისი მოსაზრების გამოთქმა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ორგანიზაციის მენეჯმენტთან.
- პროგრამების შიგნით რეგულარულად ტარდება პროგრამის მენეჯერისა და პროგრამის თანამშრომელთა შეხვედრები, რომელზეც თანამშრომლებს შეუძლიათ პროგრამის მენეჯერთან დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია და აზრი;
- შუალედური მენეჯერული რგოლის (რომელიც შედგება პროგრამათა და მიმართულებათა კოორდინატორებისაგან) შეხვედრები თვეში ერთხელ ტარდება. ამ შეხვედრებზე პროგრამის კოორდინატორს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია წარმოადგინოს მისი პროგრამის რიგითი ნევრების მოსაზრებები ან შენიშვნები;
- 6 თვეში ერთხელ ტარდება გამგეობის გეგმიური შეხვედრები, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოწვევას რიგგარეშე შეხვედრაც. ამ საბჭის შეხვედრებზე აღმასრულებელ დირექტორს შეუძლია წარმოადგინოს თანამშრომელთა მოსაზრებები და შენიშვნები, რომლებიც მანამდე მენეჯმენტის შუა რგოლის შეხვედრაზე დაფიქსირდა; საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია აღმასრულებელმა დირექტორმა მოითხოვოს შესაბამისი პროგრამის

If necessary, upon the Board's decision, one or several Expert Councils are created for a fixed period of time and a special purpose. The Expert Council represents CSR DG's advisory body. Its main function is the provision of expertise for program implementation.

Employee engagement and participation in decision making

By effective communication and a participatory approach CSR DG tries to ensure that, when making important decisions for the organization, every employee's opinion is heard and taken into consideration as far as possible.

Horizontal and vertical mechanisms of communication and engagement are introduced and operate in the organization. In particular:

- General monthly meeting of all employees, where every employee can express his/her opinion and state his/her position to the organization's management.
- Within the programs, regular meetings are held between the program manager and program staff, where staff members can express their position and opinion.
- Meetings of the Intermediate Managerial Unit (comprised of program and direction coordinators) are held on a monthly basis, where, as needed, the program coordinator can present his/her staff members' opinions or comments.
- Regular Board meetings are held once half-yearly. If required, a special meeting can also be convened. The Executive Director can present to the Board employees' opinions and comments expressed at the IMU meetings. The Executive Director can also request the attendance of the respective program coordinator at the Board meeting, where the program coordinator is able to directly present the staff's opinions.

კოორდინატორის დასწრება გამგეობის სხდომაზე, სადაც მას უშუალოდაც შეუძლია წარმოადგინოს თანამშრომელთა მოსაზრებები.

- 6 თვეში ერთხელ ტარდება აგრეთვე პროგრამის ქსელის (ანუ ჩვენი ორგანიზაციისა და 2 პარტნიორი ორგანიზაციის) საკოორდინაციო შეხვედრები, რომელზეც ასევე ჩვენი ორგანიზაციისა და პარტნიორი ორგანიზაციის წევრებს შეუძლიათ საკითხების წამოწევა და აზრის დაფიქსირება. ეს საკითხები შემდეგ განიხილება შუა მენეჯერული რგოლის შეხვედრაზე და საჭიროების შემთხვევაში მას „ცენტრის“ გამგეობა სხდომაზე გაიხილავს.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

„ცენტრისთვის“, როგორც სამოქალაქო ორგანიზაციისთვის, რომელსაც, ძირითადად, საზოგადოებრივი მიზნები ამოძრავებს, საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს სწორედ ჩვენს მრავალრიცხოვან დაინტერესებულ მხარესთან კომუნიკაცია წარმოადგენს. ყოველი ახალი პროგრამის ფარგლებში ან საქმიანობის ახალი ეტაპის დასაწყისში, როგორც წესი, ხდება სამიზნე ჯგუფებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია და იგეგმება მათთან კომუნიკაციისა და უკუკავშირის მიღების პროცესი.

როდესაც გადაწყდა მდგრადი განვითარების ანგარიშის მომზადება, ხელახლა განისაზღვრა ჩვენი ორგანიზაციის დაინტერესებული მხარეების ძირითადი ჯგუფები და დაიგეგმა ანგარიშგების პროცესში მათი ჩართულობა.

დაინტერესებულ მხარეთა გამოვლენა და პრიორიტეტიზაცია თანამშრომელთა საერთო შეხვედრაზე მოხდა, ანგარიშის მოზადების საწყის ეტაპზე. გამოიყო ორგანიზაციის დაინტერესებულ მხარეთა შემდეგი ძირითადი ჯგუფები, რომლებთანაც გადაწყდა დაკავშირება.

ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი დაინტერესებული მხარეებია:

- ორგანიზაციის თანამშრომლები;
- დონორები ;
- სამოქალაქო ორგანიზაციები (თბილისისა და რეგიონების პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები, სოფლის საინიცია-

- The program Network's coordination meetings are also held once every six months, where members of our organization and our two partner organizations are able to raise issues and state their opinions. The issues are later discussed at IMU meetings and, if necessary, also at the Board meetings.

STAKEHOLDER ENGAGEMENT

Being a civil organization and driven primarily by social goals, CSR DG considers communication with our numerous stakeholders to be one of the main components of our activities. As a rule, within every new program, or prior to starting a new stage in an existing one, our target groups and stakeholders are identified and the communication and feedback processes planned.

Hence, GRI requirement was nothing new and unusual for us. However, in line with this requirement, and upon making the decision to prepare the sustainability report, key groups of our stakeholders were re-identified and stakeholder engagement in the reporting process was planned.

The following groups of stakeholders were identified, priority was given to the employees' general meeting at the initial stage of report preparation, and the decision was made to contact them for their inclusion in defining the report content.

Our main stakeholders are:

- Organization's employees ;
- Donors;
- Civil organizations (partner non-governmental organizations from Tbilisi and other regions, village initiative groups);
- Our target municipalities;
- Some of the ministries, with which the organization interacts during our activities;
- Georgian private companies interested in the implementation of the corporate social re-

- ატივო ჯგუფები) ;
- ჩვენი სამიზნე მუნიციპალიტეტები;
- ცენტრალური მთავრობის ცალკეული სამინისტროები, რომლებთანაც ორგანიზაციას აქვს ურთიერთობა საქმიანობის პროცესში;
- ქართული ბიზნეს კომპანიები, რომლებიც დაინტერესებული არიან კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვით;
- ქართული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, სადაც ისწავლება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საგანი, ან იგეგმება ზემოაღნიშნულის დანერგვა;
- ჩვენი პუბლიკაციების ადრესატები - კვლევითი ინსტიტუტები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, აგრეთვე სხვადასხვა სფეროს ექსპერტები;
- ორგანიზაციის ექსპერტთა ქსელის წევრები;
- ჩვენს მიერ ჩატარებული ტრენინგების ბენეფიციარი ორგანიზაციები;
- მას-მედიის საშუალებები.

დაიგეგმა აგრეთვე თითოეულ ჯგუფთან კომუნიკაციის პროცესი და მიდგომები.

თანამშრომლებმა ანგარიშის შინაარსის თაობაზე მოსაზრებები გამოთქვეს მთელი კოლექტივის საერთო შეხვედრაზე. რაც შეეხება გარე დაინტერესებულ მხარეებს, მათთან კომუნიკაციის მიზნით შედგა სპეციალური კითხვარი, რათა გაგვეჩვენა, თითოეული ჯგუფის აზრით, ორგანიზაციის საქმიანობის რომელი ასპექტების შესახებ სურდათ მათ ინფორმაციის მიღება ანგარიშიდან. კითხვარი დაეგზავნა შერჩეული ჯგუფების წარმომადგენლებს (თითოეული ჯგუფიდან გამოკითხა წარმომადგენლობითი რაოდენობა, რამაც წარმოდგენა შეგვიქმნა თითოეული ჯგუფის მოლოდინებზე). დაკავშირება მოხდა ძირითადად ელ-ფოსტით, ცალკეულ შემთხვევებში ჩატარდა სატელეფონო ინტევიუ ან პირადი შეხვედრა.

ზემოთაღნიშნული პროცესის შესაბამისად განხორციელდა დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგი ანგარიშგების პროცესში.

დაინტერესებულ მხარეებთან ჩვენი კომუნიკაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ანგარიშის მომზადებაში მათი ჩართულობით. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჩვენს ორგანიზაციას მუდ-

sponsibility;

- Georgian universities where the corporate social responsibility is included or is planned to be into the curriculum;
- Addressees of our publications - research institutes and colleges/universities, as well as experts from various spheres;
- Members of the CSRDG's network of experts
- Beneficiary organizations of the trainings held by us;
- Media sources;

Communication process with each of the groups was also planned.

Employees expressed their opinions regarding the report content at the general meeting of the staff. As for external stakeholders, a special questionnaire was designed for them to identify the aspects of the organization's activities they consider important to be presented in the report. The questionnaires were distributed to the representatives of the selected stakeholders (a representative number of respondents from each group were questioned, giving us an understanding of the group's expectations). Contacts were established mainly via electronic mail. In some cases, telephone or face-to-face interviews were held.

The dialogue with the stakeholders during the reporting process was carried out as described above.

Our communication with the stakeholders is not limited only to including them in the report preparation. As already mentioned above, our organization constantly stays in touch with numerous groups of its stakeholders, in order to identify their expectations and needs, as well as to evaluate their level of satisfaction with the organization's activity.

A variety of communication methods is applied for different stakeholder groups.

Our employees, one of the most important groups of the organization's stakeholders, are

მივად აქვს კავშირი საკუთარი დაინტერესებული მხარეების მრავალრიცხოვან ჯგუფებთან მათი მოლოდინებისა და მოთხოვნების გამოსავლენად, აგრეთვე ორგანიზაციის საქმიანობით კმაყოფილების დონის შესაფასებლად.

თითოეულ ჯგუფთან სხვადასხვა მეთოდით ხდება კომუნიკაცია.

თანამშრომლებს, რომლებიც ორგანიზაციის დაინტერესებულ მხარეთა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენენ, ყოველდღიურად ეგზავნებათ დაიჯესტები, რომელშიც მოკლედ არის აღწერილი ორგანიზაციაში მიმდინარე პროგრამების სიახლეები. გარდა ამისა, რეგულარულად (თვეში ერთხელ) ტარდება პერსონალის ერთიანი შეხვედრები, რომლებზეც პროგრამების კოორდინატორები დაწარჩენ თანამშრომლებს აცნობენ თითოეული პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობას და უახლოეს სამომავლო გეგმებს. ამ შეხვედრებზე თანამშრომლებს შეუძლიათ აგრეთვე დასვან შეკითხვები და წამოწიონ და განიხილონ ნებისმიერი ორგანიზაციული, თუ პროგრამული საკითხი, რომელიც მათი აზრით რაიმეს შეცვლას ან დახვეწვას საჭიროებს.

დონორებისათვის გარკვეული რეგულარობით მზადდება საქმიანობის პროგრამული და ფინანსური ანგარიშები და წარედგინებათ სამომავლო საქმიანობის გეგმები. უკუკავშირის მიღება ხოციელდება აღნიშნულ ანგარიშებსა თუ სამოქმედო გეგმება და პროგრამებზე კომენტარების სახით. გარდა ამისა, ტარდება საკონსულტაციო-საინფორმაციო შეხვედრები.

სამიზნე თუ პარტნიორ სამოქალაქო ორგანიზაციებთან (იქნება ეს სოფლის სათემო ჯგუფები, კოალიციის წევრი თბილისის არასამთავრობო ორგანიზაციები თუ ჩვენი რეგიონული პარტნიორი არასამთავრობოები) რეგულარულად ტარდება საკოორდინაციო და საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებზეც ხდება გამოცდილების გაზიარება, პოზიციების შეჯერება, წამოჭრილი პორბლემების განხილვა და სამომავლო საქმიანობათა დაგეგმვა.

სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებს, რომლებთანაც ორგანიზაცია ურთიერთქმედებს საქმიანობის პროცესში, აგრეთვე სხვადასხვა სფეროს ექსპერტებსა და ჩვენი გამოცემების ადრესატებს ორგანიზაცია რეგულარულად ინვესტს მის მიერ მოწყობილ სემინარებსა და საჯარო განხილვებზე, რომლებზეც ხდება პოზიციების დაფიქსირება და

sent daily digests with brief news about our ongoing programs. Besides, general staff meetings are held regularly (monthly), where each program coordinator presents the activities and future plans for their respective programs. During the meetings the personnel are able to ask questions and raise or discuss any organizational or program related issue, which, in their opinion, need to be improved.

Our financial and program reports are regularly prepared for the donors, and future action plans are presented. Feedback is provided by means of comments on the reports or action plans. Co-ordination and consultation meetings are also held regularly with target groups or partner civil organizations (rural community groups, coalition member non-governmental organizations from Tbilisi, or our regional partner NGOs). These provide opportunities for sharing experience, aligning different positions, discussing issues and planning future activities.

The organization regularly invites our interlocutory government representatives, as well as various spherical experts and addressees of our publications, to seminars and public hearings organized by us, where opinions are expressed and exchanged. Recommendations made by CSRDG to various government agencies are also often discussed at joint work meetings.

Furthermore, program coordinators regularly inform the authors of the articles published in our bulletins (members of CSRDG's network of experts) about the plans made for our research activity. The authors have opportunities to make certain corrections in the plans and offer suggestions (e.g. recommend program coordinators to conduct research on some other additional or relevant issues).

We mainly communicate with our target private companies at different forums and workshops, such as meetings of the regional network of the Global Compact, meetings organized by

აზრთა გაცვლა-გამოცვლა. „ცენტრის“ მიერ სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურებისათვის მიწოდებული რეკომენდაციები აგრეთვე ხშირად განიხილება ერთობლივ სამუშაო შეხვედრებზე.

გარდა ამისა, ჩვენს „ბიულეტენში“ გამოქვეყნებული სტატიების ავტორებს (ანუ „ცენტრის“ ექსპერტთა ქსელის წევრებს) პროგრამების კოორდინატორები რეგულარულად აცნობენ „ცენტრის“ კვლევითი საქმიანობისათვის დასახულ გეგმებს. ავტორებს შესაძლებლობა აქვთ შეიტანონ გარკვეული კორექტივები ამ გეგმებში და, მაგალითისათვის, შესთავაზონ პროგრამის კოორდინატორებს რაიმე დამატებით საინტერესო და აქტუალურ საკითხზე კვლევის ჩატარება.

ჩვენს სამიზნე ბიზნეს კომპანიებთან კომუნიკაცია ძირითადად ხორციელდება სხვადასხვა სახის ფორუმებზე და სამუშაო შეხვედრებზე, როგორიცაა „გლობალური შეთანხმების“ რეგიონული ქსელის სამუშაო შეხვედრები, ამერიკის სავაჭრო პალატასთან დაარსებული „სოციალური პასუხისმგებლობის საბჭოს“ სამუშაო შეხვედრები, სოციალური პასუხისმგებლობისადმი მიძღვნილი სხვადასხვა კონფერენციები და სემინარები და სხვა.

ჩვენი სერვისების (ტრენინგებისა და კონსულტაციების) ბენეფიციარებისგან უკუკავშირის მიღება ხორციელდება სპეციალური კითხვარების მეშვეობით, რომელშიც ურიგდებათ ტრენინგის მინაწილეებს, აგრეთვე სპეციალური გამოკითხვების მეშვეობით.

ხოლო მას-მედიის საშუალებებს პრესრელიზების და განცხადებების სახით რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია ჩვენი საქმიანობის შესახებ. ორგანიზაცია აგრეთვე ყოველდღიურად აწარმოებს ძირითადი მედია საშუალებების კონტენტ-ანალიზს, რომლის შედეგად გამოვლენილ მნიშვნელოვან საკითხებზე კეთდება ორგანიზაციების ექსპერტების კომენტარები და მიეწოდება შესაბამის მედია საშუალებებს. საჭიროების შემთხვევაში ეწყობა პრესკონფერენციები და სადისკუსიო შეხვედრები მედიასთან, სადაც მათ შეუძლიათ მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე.

დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისა და მათთან კომუნიკაციის ინსტრუმენტს წარმოადგენს აგრეთვე ჩვენი ვებ-გვერდი და

the Social Responsibility Council of the American Chamber of Commerce and various conferences and seminars dedicated to the social responsibility etc.

Feedback from the beneficiaries of our services (trainings and consultations) is received through special questionnaires that are distributed to the participants as well as through special surveys.

Media sources are regularly provided with information about our activities through press-releases and other hand-outs. We conduct daily content analysis of the main media sources, and our experts' special comments on any important issues identified are provided to the respective Media. If needed, press-conferences and discussions with the Media are organized, where they can obtain answers on questions of interest to them.

Other instruments for keeping the stakeholders informed and communicating with them are our internet website and our publications (regular bulletins, annual reports and other publications). CSR DG's contact details, as well as a request to contact us and give us feedback, is provided on the website and published in every bulletin. This is quite an active mechanism, and readers of our publications or website visitors regularly call CSR DG with various questions or comments. The comments received are collected, discussed and considered when planning our next activities.

The Centre also conducts fairly regular sociological research with various target groups aimed at measuring their satisfaction level with our activities and identifying any existing problems. (More details about these surveys are given in the Chapter on “Social Performance Indicators”). Based on the survey results, changes are made in the current projects and future strategy planned.

ჩვენი პუბლიკაციები (რეგულარული ბიულენი, წლიური ანგარიში და სხვა გამოცემები). როგორც ვებ-გვერდზე, ისე ყველა ჩვენს გამოცემაში განთავსებულია „ცენტრის“ საკონტაქტო ინფორმაცია და თხოვნა, დაგვიკავშირდენ და მოგვანოდონ საკუთარო მოსაზრებები და შენიშვნები. ეს მექანიზმი საკმაოდ ქმედითია — „ცენტრში“ რეგულარულად რეკავენ ჩვენი გამოცემებისა თუ ვებ-გვერდის მომხმარებლები სხვადასხვა სახის შეკითხვებითა თუ კომენტარებით. გამოთქმული მოსაზრებები აღინიუსხება, განიხილება და გათვალისწინებულია შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისას.

„ცენტრი“ აგრეთვე გარკვეული რეგულარობით ატარებს სოციოლოგიურ გამოკითხვებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან, ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებით მათი კმაყოფილების დონის შეფასებისა და წამოჭრილი პრობლემების გამოვლენის მიზნით (ამ კვლევების შესახებ უფრო დანვრილებით იხ. თავი „ჩვენი საქმიანობის სოციალური მაჩვენებლები“). კვლევების შედეგებზე დაყრდნობით ხდება ცვლილებების შეტანა მიმდინარე პროექტებში და სამომავლო სტრატეგიის დაგეგმვა.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ინტეგრირებულ ანგარიშს. ის მოიცავს წლიურ ანგარიშს ჩვენი ორგანიზაციის პროგრამული საქმიანობის შესახებ და მენეჯმენტის მიდგომების შესახებ; აგრეთვე მდგრადი განვითარების ანგარიშს, რაც ეფუძნება „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ მიერ შემუშავებულ ანგარიშგების ფორმატს (GRI G3).

GRI ფორმატთან შესაბამისობის დონეების სისტემის მიხედვით, წინამდებარე ანგარიში აკმაყოფილებს GRI G3 ანგარიშგების ფორმატის C დონის მოთხოვნებს. GRI ინსტრუქციის თანახმად, „შესაბამისობის დონე“ თავად ჩვენმა ორგანიზაციამ განსაზღვრა (ე.წ. თვითდეკლარირება) და ჩვენი თხოვნით გადაამოწმა და დაადასტურა GRI წარმომადგენელმა. ჩვენ არ მიგვიმართავს ანგარიშის გარე შეფასების სათვის.

ანგარიში აგრეთვე აკმაყოფილებს გაეროს „გლობალური შეთანხმების“ ხელმომწერი ორგანიზაციების წლიური ანგარიშგების (COP) მოთხოვნებს. (ჩვენი ორგანიზაცია „გლობალური შეთანხმების“ ინიციატივას 2007 წელს შეუერთდა).

საანგარიშო პერიოდი - ანგარიში მოიცავს ერთ სრულ კალენდარულ წელს - 2011 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე (რაც ემთხვევა ფინანსურ წელს). ცალკეულ შემთხვევებში მოგვყავს გასული წლების მონაცემებიც, რათა უკეთ წარმოვჩინოთ განვითარების დინამიკა და მიღწეული შედეგები.

ანგარიშის დაფარვის სფერო და ფარგლები

ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემების უმრავლესობა სრულად მოიცავს ორგანიზაციის საქმიანობას როგორც თბილისის ცენტრალური ოფისის, ისე თელავის ბიუროსი. ცალკეული ინდიკატორებისათვის მონაცემები წარმოდგენილია მხოლოდ თბილისის ოფისი-

The report integrates an annual report on our program activities and a sustainability report, which conforms to the Global Reporting Initiative's (GRI) Sustainability Reporting Guidelines, version 3.0 (GRI G3). Consequently, it should be read as a totality.

In terms of extent of disclosure, we have self-declared this report to GRI Application level C, acknowledging that it has not been externally assessed. At our request, the application level had been checked by GRI representative.

The report also meets the basic compliance as a “Communication on Progress” for the UN Global Compact (UNGC.). Our organization joined the UN Global Compact Initiative in 2007.

Reporting period:

This present report covers the period January 1 to December 31 2011 (which matches with our fiscal year). In some instances, in order to provide the context and illustrate trends, we present the available data and discuss certain programs from the previous year.

SCOPE AND BOUNDARY OF THE REPORT

Most of the data presented in the report cover the operations of the Tbilisi head office as well as the Telavi bureau. For some indicators the data is only presented for the Tbilisi office, because reliable systems for their measurement have not yet been introduced in the Telavi bureau. (There is a clear indication for every such case.)

სათვის, რადგანაც თელავის ბიუროში ჯერ-ჯერობით არ არის დანერგილი შესაბამისი აღრიცხვის სისტემები. ყოველი ასეთი შემთხვევის შესახებ საგანგებოდ არის მითითებული შესაბამისი მონაცემების წარმოდგენისას.

ანგარიშის შინაარსის განსაზღვრა

ანგარიშის შინაარსის განსაზღვრის პროცესში ჩართული იყვნენ ორგანიზაციის ყველა დონის თანამშრომლები და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფები.

თავდაპირველად მოენყო მენეჯმენტისა და თანამშრომელთა საერთო შეხვედრა, რომელზეც განვიხილეთ, თუ რატომ არის ჩვენი ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი მდგრადი გავითარების ანგარიშის დაწერა და რატომ უნდა ეფუძნებოდეს ეს ანგარიში GRI ანგარიშგების ფორმატს; აგრეთვე ერთობლივად განვსაზღვრეთ ორგანიზაციის ძირითადი ზეგავლენის (დადებითი და უარყოფითი) სფეროები მდგრადი გავითარების კონტექსტში და გამოვყავით ორგანიზაციის საქმიანობის ის ასპექტები, რომელთა შესახებ ანგარიშში ინფორმაციის წარმოდგენა მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ.

შემდეგ ეტაპს წარმოადგენდა ორგანიზაციის გარე დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, რათა გამოგვევლინა მათთვის პრიორიტეტული საკითხები, ანუ ორგანიზაციის საქმიანობის ასპექტები, რომელთა შესახებ მათ აინტერესებდათ ინფორმაციის მიღება ანგარიშის მეშვეობით. (დაინტერესებული მხარეების გამოვლენის, პრიორიტეტიზაციისა და მათთან კომუნიკაციის პროცესის შესახებ უფრო დანვრილებით იხ. გვ. 25).

ორგანიზაციის თანამშრომლებისგან და გარე დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ორგანიზაციის მენეჯმენტმა, ცალკეულ პროგრამათა ხელმძღვანელებმა და ანგარიშგების საკოორდინაციო ჯგუფმა (რომელშიც შედიოდნენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის კოორდინატორი და კომუნიკაციების მენეჯერი) მოახდინეს გამოვლენილ საკითხთა პრიორიტეტიზაცია და ერთობლივად განსაზღვრეს ის ასპექტები და

DETERMINING THE REPORT CONTENT

CSR DG's employees of all levels and various groups of our stakeholders were involved in determining the report content.

In the beginning, an introductory meeting of the organization's management and staff was held, discussing the importance of writing a sustainability report and the reasons for basing it on the GRI format. We also jointly identified CSR DG's main impact (positive and negative) areas in the context of sustainable development and identified the aspects of our activities we considered important to be presented in the report.

Following on from this, the organization's external stakeholders were asked to identify issues of relevance or concern to them. In other words, to prioritize those aspects of the organization's activities about which they would be interested to be informed via the report. (For more details about identifying and prioritizing the stakeholders, as well as the process of communicating with them, see pp. 25).

Based on the analysis of the information received from the employees and external stakeholders, CSR DG's management, together with separate program officers and a reporting coordination group (comprising of the corporate social responsibility program coordinator and the communications manager) ranked the identified priority issues and jointly determined the aspects, and respective indicators, to address in our current sustainability report. The report's boundaries and coverage area were also determined.

In finalizing the identification and prioritization of the indicators, we were guided by GRI's principles for determining report contents, which include: Materiality; Stakeholder inclusiveness; Sustainability context; and Completeness.¹

¹ More details about these principles are presented in the GRI reporting Guidelines (the Georgian version is available on our web-site www.csr.dg.ge; <http://www.globalreporting.org/>, while the English version can be obtained on <http://www.globalreporting.org/>.

მათი შესაბამისი ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც ინფორმაცია უნდა შეგვეტანა ჩვენს წლევანდელ მდგრადი განვითარების ანგარიშში. განისაზღვრა აგრეთვე ანგარიშის ფარგლები და დაფარვის სფერო.

ინდიკატორების საბლოო შერჩევისა და პრიორიტეტიზაციისას ვეყრდნობოდით GRI-ს მიერ შემუშავებულ „ანგარიშის შინაარსის განმსაზღვრელ პრინციპებს“. ეს პრინციპებია: არსებობის პრინციპი, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, მდგრადი განვითარების კონტექსტი და სისრულე.¹

მათგან უმთავრესია ინფორმაციის არსებობის პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ცხადად უნდა ასახავდეს ორგანიზაციის საქმიანობის არსებით და მნიშვნელოვან ზეგავლენას ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ სფეროებზე.

არსებობის პრინციპის მიხედვით შერჩეული ინდიკატორები შევამოწმეთ მდგრადი განვითარების კონტექსტისა და სისრულის პრინციპების მიხედვით (რომლებიც გულისხმობს, რომ ორგანიზაციის საქმიანობის შედეგები ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მდგრადი განვითარების ფართო კონტექსტში და ეს ინფორმაცია საკმარისად სრული უნდა იყოს, რათა წარმოაჩინოს ორგანიზაციის საქმიანობით მოხდენილი მნიშვნელოვანი ზეგავლენა და საშუალება მისცეს დაინტერესებულ მხარეებს შეაფასონ ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში).

ამგვარად დადგინდა იმ ინდიკატორების საბოლოო ნუსხა, რომლებიც 2011 წლის ანგარიშში (ანუ განისაზღვრა ანგარიშის შინაარსი).

ამრიგად, საკითხები და ინდიკატორები, რომლებიც ასახულია ანგარიშში, შეირჩა ორგანიზაციის თანამშრომლებთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის საფუძველზე და GRI პრინციპების გამოყენებით, რის შედეგადაც გამოიყო ორგანიზაციის საქმიანობისათვის ყველაზე უფრო აქტუალური და არსებითი ინდიკატორები.

ანგარიშის შინაარსის განსაზღვრისას ვცდილობდით მაქსიმალურად გაგვეთვალისწინებინა დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები.

Of these, the Materiality principle is the core one, meaning that the information in a report should cover topics and indicators that reflect the organization's significant economic, environmental, and social impacts, or would substantively influence the assessments and decisions of stakeholders.

The indicators that had been considered to be accomplished by the Materiality principle were later tested by us by the sustainability context and completeness principles (meaning that the report should present the organization's performance in the wider context of sustainability, and coverage of the material topics and indicators should be sufficient to reflect significant economic, environmental, and social impacts and enable stakeholders to assess the reporting organization's performance over the reporting period).

Thus, the final list of the indicators to be included in our current annual report was determined (in other words, the report content was identified).

So, the issues and indicators presented in this report were selected based on communication with the organization's employees and external stakeholders, and by applying GRI principles. As a results, the most relevant and core issues for the organization's activity were identified.

When determining the report content we tried our best to consider stakeholders' opinions. How well we succeeded in this we leave the reader to judge.

We realize that various groups of our numerous stakeholders may be interested in different aspects of CSRDG's activities and, naturally, this report cannot answer all their questions. However, as mentioned above, we have tried to present the most material and relevant sustainability aspects of our operations as identified by us and prioritized by a majority of our stakeholders.

¹ უფრო დანვრილებით ამ პრინციპების შესახებ იხილეთ GRI ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებები (ქართული ვერსიის ნახვა შესაძლებელია ვებ-გვერდებზე: www.csr-dg.ge; <http://www.globalreporting.org/>, ხოლო ინგლისური ვერსია განთავსებულია [web-gverdze: http://www.globalreporting.org/](http://www.globalreporting.org/)).

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენს მრავალრიცხოვან დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფებს შეიძლება ორგანიზაციის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტები აინტერესებდეთ და, ბუნებრივია, ეს ანგარიში ალბათ პასუხს ვერ გასცემს ყველა შეკითხვას. თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალურად აგვესახა ჩვენს ანგარიშში ის საკითხები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითია ჩვენი ორგანიზაციისათვის და პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული დაინტერესებულ მხარეთა უმრავლესობის მიერ.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია GRI 19 ძირითადი და დამატებითი ინდიკატორის მიხედვით. მათგან: 3 ინდიკატორი ეკონომიკური სფეროდანაა, 6 - გარემოსდაცვითი და 10 - სოციალური სფეროდან.

რამდენიმე ინდიკატორის შესახებ, რომლებიც არსებითად მივიჩნიეთ ჩვენი ორგანიზაციისათვის მხოლოდ ნაწილობრივ წარმოდგენილია მონაცემები.

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ, მმართველობა და მენეჯმენტი, დაინტერესებული მხარეები, ჩვენი საქმიანობით მოხდენილი გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ზეგავლენები, თანამშრომლებთან ურთიერთობის პოლიტიკა, ადამიანის უფლებებისა და შრომითი უფლებების დაცვა და ა. შ. თითოეული ეს საკითხი იმ მასშტაბითა და მოცულობით არის განხილული, რამდენადაც ესა თუ ის საკითხი ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობისათვის არის აქტუალური და შესაბამისი.

ანგარიშს ბოლოს ერთვის GRI საძიებელი, სადაც მითითებულია, ანგარიშის რომელ თავში და რომელ გვერდზეა წარმოდგენილი ინფორმაცია GRI ფორმატის თითოეული ინდიკატორისა თუ სტანდარტული კომპონენტის შესახებ.

საკონტაქტო პირი ანგარიშთან დაკავშირებით შეკითხვების გაჩენის შემთხვევაში:

ნ. ქარსელაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის
მენეჯერი
ელ-ფოსტა: nkarseladze@csrdg.ge
ტელ.: (+99532) 2 399018/19
ქ. თბილისი, დელისის I შესახვევი, 5 ა.

This report presents information by 19 GRI indicators. Out of which: 3 are from the economic area, 6 - from the environmental, and 10 from the social area.

There is only partial data for several indicators that were considered to be essential for our organization.

The information presented in this report covers such issues as: organizational profile, governance and management approaches, the economic, social and environmental impacts of our operations, employee policy and labour practices, human rights and societal issues. The report covers each of these aspects in the way and to the extent in which they relate to the work of CSRDG.

A GRI content index is provided at the end of the report for cross-reference. It identifies where each standard disclosure and performance indicator can be found in the report.

***If you have any questions about this report,
please contact:***

Nana Karseladze
Public Relations Manager
E-mail: nkarseladze@csrdg.ge
Tel.: (+99532) 2 399018/19
Delisi 1st lane 5A, Tbilisi, Georgia
Centre for Strategic Research and
Development of Georgia

პროგრამული საქმიანობის ანგარიში PROGRAM REPORT ON OUR ACTIVITY

ცენტრის სამწლიანი პროგრამა (2011-2013წწ.)

CSR DG'S THREE YEAR (2011 - 2013) PROGRAM

ცენტრის სამწლიანი პროგრამა ემსახურება ორგანიზაციის მისიის მიღწევას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სამთავრობო, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორების ერთობლივ ეფექტიან მონაწილეობას საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესებში და სამივე სექტორის სოციალური პარტნიორობის ჩამოყალიბების გზით, ქვეყნის სოციალურად დაუცველი ფენების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

ამ პროგრამული მიზნის მისაღწევად ორგანიზაციას შემუშავებული აქვს საქმიანობის განხორციელების სხვადასხვა სტრატეგიები:

- ინტერესთა დაცვის კამპანიები სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ საკითხებზე;
- საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/საკითხების მიტანა გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე;
- საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობა კოალიციური და ქსელური მუშაობის სტიმულირებით;
- სამთავრობო პროგრამების და რეფორმების განხორციელების მონიტორინგი;
- მუნიციპალიტეტების საქმიანობის მონიტორინგი და ანგარიშვალდებულების გაზრდის ხელშეწყობა;
- თემის/სოფლის განვითარება;
- ეროვნული და ადგილობრივი დონის არასამთავრობო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარება (კონსულტაციები და ტრენინგები);
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა, ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით;
- ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა.

The aim of CSR DG's Three Year Program is to promote effective joint participation between the Governmental, public and business sectors in the processes of Georgia's democratic development; and, by establishing social partnership between these three groups, promote the improvement of the quality of life for socially unprotected groups in the country.

To achieve the Program's goals, the organization has developed various strategies for implementing its activities:

- Advocacy campaigns on priority issues of the State policy;
- Informing decision-makers on problems/issues relevant to the public;
- Increasing the effectiveness of these activities by stimulating coalition and network forms of working;
- Monitoring the implementation of Government Programs and reforms;
- Monitoring the activities of the target municipalities and promoting increased accountability;
- Community/rural development;
- Providing technical assistance (consultation and training) to non-governmental organizations the national and local level;
- Promoting civil society development;
- Popularizing business's corporate social responsibility and participation in creating a favourable State policy for its development.

ცენტრი თავის საქმიანობას ქსელურ-კოალიციურ პრინციპებზე დაყრდნობით წარმართავს. თბილისსა და საქართველოს 6 სამიზნე რაიონში — ლაგოდეხი, ოზურგეთი, ჩოხატაური, ყვარელი, სიღნაღი და თელავი — თემის განვითარებისა და მუნიციპალიტეტების მონიტორინგის მიმართულებით საქმიანობა მიმდინარეობს პროგრამის ფარგლებში შექმნილი ქსელის საშუალებით. ქსელი 2002 წლიდან ფუნქციონირებს და მისი წევრები არიან ცენტრის პარტნიორი ორგანიზაციები — „საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია“ (ლაგოდეხი), „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი“ (ოზურგეთი), ხოლო თელავში ქსელის საქმიანობას წარმართავს „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის თელავის ბიურო“. ქსელურად განხორციელებული საქმიანობა რაიონებში აქ არსებული პრობლემების გამოვლენის, მათი სპეციფიკის უკეთ გააზრების და ეროვნულ დონეზე მათი განზოგადების შესაძლებლობას იძლევა.

სამწლიანი პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სამი ქვეპროგრამა: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება; კარგი მმართველობის ხელშეწყობა; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა.

CSR DG carries out its activities based on network-coalition principles. Our community development and municipal monitoring activities in Tbilisi and the six target municipalities – Lagodekhi, Ozurgeti, Chokhatauri, Kvareli, Sighnaghi and Telavi – are implemented through a network created under the Program. The Network, which has been operating since 2002, consists of CSR DG's partner organizations – Georgian Civil Development Association (Lagodekhi), Georgian Democratic Development Union (Ozurgeti). In Telavi the activities are implemented by CSR DG's local Telavi branch. Network-based activities in the regions provide opportunities to identify local problems, obtain a better understanding of local circumstances and conditions, and generalise these to the national level.

The Three Year Program has three sub-Program components: Strengthening Civil Society Institutions, the Promotion of Good Governance and the Development of Corporate Social Responsibility.

პროგრამა -სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება

PROGRAM – STRENGTHENING CIVIL SOCIETY INSTITUTIONS

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული დონის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციურ და ფინანსურ მდგრადობას, რათა ისინი ადეკვატურად მოემსახურონ და ეფექტიანად წარმოაჩინონ საკუთარი სამიზნე ჯგუფების ინტერესები.

The goal of this program is to support improvement in the institutional and financial condition of local, regional and national civic institutions so that they are capable of providing adequate services and protecting the interests of their target groups.

პროგრამის მიზნის მისაღწევად შემუშავებული სტრატეგია გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობას, ხელსაყრელი სამოქმედო გარემოს შექმნის, არასამთავრობო ორგანიზაციების და სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების ტექნიკურ-ინფორმაციული დახმარების გზით.

The strategy developed to achieve this goal involves the promotion of civic society development through the creation of a favorable environment and the provision of technical/ information assistance to NGOs and community groups/organizations.

პროგრამა მოიცავს როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეს და მიმდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებით. მათ ფარგლებში საქმიანობის წარმართვის მიზნით შემუშავებულია ქვეპროგრამები: საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება და თემის განვითარება.

The program is implemented at both the national and local levels via two sub-programs – civic society development and community development.

თემის განვითარების ქვეპროგრამა

SUB-PROGRAM – COMMUNITY DEVELOPMENT

თემის განვითარების პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს მუნიციპალიტეტებში სოფლის სათემო ჯგუფებისათვის/ორგანიზაციებისათვის რესურსებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რათა მოსახლეობამ ეფექტიანად მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და გაუმკლავდეს ადგილობრივ პრობლემებს.

The goal of this Sub-program is to ensure the accessibility of resources and information for rural community groups/organizations in various Georgian municipalities so that the residents can effectively realize its potential for solving local problems.

პროგრამის სტრატეგია მდგომარეობს საქართველოში მოქმედი სათემო ჯგუფებისთვის/ორგანიზაციებისთვის კომპლექსური სერვისის შეთავაზებაში, როგორცაა მაგ.: საინფორმაციო რესურსების (ინფორმაცია დაფინანსების წყაროებზე, ტრენინგებზე, წარმატებულ მაგალითებზე და ა.შ.) ხელმისაწვდომობის და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სათემო

The program strategy is to offer a ‘menu’ of services to community groups/ organizations working in Georgia. These include: access to information (on sources of funding, training, success stories, etc.) and opportunities to exchange learning. Special attention is also paid to the development of partnerships between community groups/organizations and strong civic organizations to ensure the sustainability of community groups/organizations.

At the same time, the Program continues its work to strengthen the community groups/

ჯგუფების/ორგანიზაციების მდგრადობისათვის ძლიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მათი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობას. გარდა ამისა, გრძელდება 2008-2010 წლებში პროგრამის ფარგლებში შექმნილი 12 სამიზნე სათემო ჯგუფის/ორგანიზაციის გაძლიერება, რათა მათ უკეთ შეძლონ სოფლის ინტერესების წამოწევა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან მათი ლობირება.

თემის განვითარების რესურსცენტრი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბაზაზე 2011 წელს შეიქმნა და ამჟამად საქართველოს მუნიციპალიტეტებში მოქმედი სოფლის სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების მხარდამჭერი რესურსცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს მათი შესაძლებლობების ზრდას, უწყვეტ ინფორმაციულ კავშირს არსებულ ჯგუფებს შორის და მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ფართო აუდიტორიისათვის.

სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა

რესურსცენტრის მიერ შემუშავდა საქართველოში მოქმედი სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა, რომელშიც შეტანილია ინფორმაცია 84 სათემო ჯგუფზე/ორგანიზაციაზე, მათი საქმიანობის გეოგრაფიულ დაფარვაზე, ძირითად მიმართულებებსა და სამიზნე ჯგუფებზე, ასევე ბოლო პერიოდში განხორციელებულ აქტივობებსა და მიმდინარე პროექტებზე. ეს ინფორმაცია სათემო ცენტრების რუკის და სპეციალური ფორმატის — ცხრილის — სახით განთავსებულია თემის განვითარების რესურსცენტრის ვებ-პორტალზე (ინფორმაცია ვებ-პორტალზე იხ. ქვემოთ).

თემის განვითარების რესურსცენტრის ვებ-პორტალი

2011 წელს თემის განვითარების რესურსცენტრის ბაზაზე შეიქმნა ვებ-პორტალი — www.cdrc.ge, რომელიც წარმოადგენს, მუდმივად განახლებადი ინფორმაციის წყაროს თემის განვითარების საკითხზე, არა მხოლოდ სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციებისთვის,

organizations created in 2008-2010 in order to improve their ability to raise issues that are in the interests of their villages, and to lobby for those interests in local government bodies.

The Community Development Resource Center

In 2011, the Center for Strategic Research and Development of Georgia set up a Resource Center to provide support for rural community groups/organizations and the development of their capacity. The Resource Center offers an uninterrupted exchange of information between existing groups and the wider public dissemination of information about their work.

Data Base of Community Groups/Organizations

The Resource Center has developed a data base of community groups/organizations that contains information about 84 community groups/organizations, the geographic area of their operation, the main areas of their activity and target groups, as well as information about recently implemented and ongoing projects. This information is provided in the form of a community organization map and table and is published on the web-page of the Community Development Resource Center - www.cdrc.ge (information regarding the web-page is provided below).

The Web Page of the Community Development Resource Center

The web-page of the Community Development Resource Center - www.cdrc.ge, was created in 2011. It is a source of constantly updated information, not only for community groups and organizations but also for all interested civic and international organizations, government institutions, the private sector and media representatives.

არამედ დაინტერესებული საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, სამთავრობო სტრუქტურების, ბიზნესის და მედიის სექტორების წარმომადგენლებისთვისაც.

ხსენებული ვებ-პორტალის საშუალებით, დაინტერესებულ ორგანიზაციებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ ინფორმაცია ისეთ პრაქტიკულ და საინტერესო საკითხებზე, როგორიცაა:

- საქართველოში აქტიურად მოქმედი სათემო ჯგუფები;
- სათემო ჯგუფების დაფინანსების შესაძლებლობები;
- თემის განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციები და პროგრამები;
- თემატური გამოცემები და სასარგებლო ლიტერატურა;
- კონსულტაციები, ტრენინგები, სემინარები და ერთობლივი ღონისძიებები;
- სათემო ჯგუფების წარმატებული მაგალითები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო თემატური ახალი ამბები.

დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის ვებ-პორტალი კარგი საშუალებაა ფართო აუდიტორიისთვის საკუთარი წარმატებების გასაცნობად: ვებ-პორტალის ერთი სექცია მთლიანად ეთმობა სათემო ჯგუფების საქმიანობის წარმატებული მაგალითების აღწერას და პოპულარიზაციას, რაც გამდიდრებულია ფოტო-ვიდეო მასალით. გარდა ამისა, კვარტალურად გამოვა და ყველა დაინტერესებულ მოქმედ პირსა თუ ორგანიზაციას მიეწოდება რესურსცენტრის საინფორმაციო ელექტრონული ჟურნალი, რომელშიც თავს მოიყრის განვლილი პერიოდის უმნიშვნელოვანესი სიახლეები და ინფორმაცია.

სემინარები, კონსულტაციები, ტრენინგები

დაინტერესებულ ორგანიზაციებს რესურსცენტრი სთავაზობს კონსულტაციებს, ასევე ტრენინგებში, თემატურ სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას.

2011 წელს ორგანიზებული სემინარების და ტრენინგების თემის შერჩევა ხდებოდა სათემო ჯგუფების ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით (პირდაპირი გასაუბრების და ვებ პორტალის ინტერაქტიული გამოკითხ-

This web page gives an opportunity for interested organizations to find information on some practical and interesting issues, such as:

- active community groups in Georgia;
- community group funding opportunities;
- organizations and programs working on community development issues;
- thematic publications and useful literature;
Based on the social program analysis and the population survey, the network's experts developed recommendation packages for all five target municipalities. Each package consisted of up to ten recommendations.



სოციალურ სფეროში მიწოდებული სხვადასხვა ხარისხისა და მიზნობრივ რაკომენდაციებიდან სამიზნე მუნიციპალიტეტების მიერ, სულ გათვალისწინებულ იქნა 29 რაკომენდაცია. თუმცა ინდიკატორების გამოთვლისას ისინი დაჯამდა 4 გათვალისწინებულ რაკომენდაციად. საბოლოოდ ოთხი მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამა გაუმჯობესდა.

THE TARGET MUNICIPALITIES TOOK INTO CONSIDERATION 29 OUT OF ALL THE SUBMITTED RECOMMENDATIONS ON THE BASIS OF IMPORTANCE AND PRIORITY. DESPITE THIS, FOR THE PURPOSE OF ASSESSMENT INDICATORS, THESE 29 RECOMMENDATIONS WERE SUMMED UP AS 4 CORE THEMES AND, THUS, SOCIAL PROGRAMS OF 4 MUNICIPALITIES WERE IMPROVED.

სოციალურ პროგრამების შესახებ მოსახლეობის გათვითცნობიერების მიზნით, ქსელის ექსპერტების მიერ მომზადდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში მიმდინარე სოციალური დახმარების პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ერთვოდა მარტივად გასაგები ახსნა-განმარტებები შემდეგ საკითხებზე: ვინ არიან პროგრამების სამიზნე ჯგუფები, პროგრამაში ჩართვისთვის გასავლელი პროცედურები და ა.შ. აღნიშნული ინფორმაცია მოსახლეობაში გავრცელდა ახალგაზრდული სათემო ცენტრების დახმარებით.

In order to raise the popular awareness about the social programs, the network's experts prepared a list of the social assistance programs currently happening in the target municipalities. The list was accompanied by simple, and clearly formulated, explanations on the following issues: the target groups for each social program; the procedures necessary for inclusion in the program etc. This information was disseminated in the local community with the help of the Community Youth Centers.

სოფლის განვითარების პროგრამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, სავსე მონიტორინგის შედეგად, ძირითადი დარღვევები ზემოაღნიშნული პროგრამის განხ-

As for the Rural Development Program, it is important to note that the field monitoring mainly identified violations that took place at the initial stage of the budget setting.

ორციელების პირველ ფაზაზე — სოფლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების ეტაპზე — გამოვლინდა. კერძოდ, გამოიკვეთა, რომ ხშირად არ ხდება ადგილობრივი მოსახლეობის სათანადო ჩართვა მათ წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიცირებაში (როგორც ამას აღნიშნული პროგრამის განხორციელების წესი მოითხოვს). მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ხშირად სხვადასხვა მანიპულაციებით ცდილობენ თავს მოახვიონ მოსახლეობას საკუთარ ინტერესებში არსებული პრობლემები (მაგალითად, მოცემულ სოფელში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის ოფისის გარემონტება). ამ კუთხით რეკომენდაციები მიენოდა სამიზნე მუნიციპალიტეტებს.

მეორე მხრივ, რამდენიმე სამიზნე მუნიციპალიტეტში (ლაგოდეხი, ოჯურგეთი, თელავი) მოხდა ახალგაზრდული ცენტრების გააქტიურება, რაც გულისხმობდა თევზის არსებული პრობლემების ლობირებას, სოფლის განვითარების პროგრამებში მათი გათვალისწინების მიზნით. შედეგად, ათამდე ასეთი პროექტი დაფინანსდა (მათ შორისაა: არსების ამოწმება, საცალოდო ხილებისა და შიდა გზების შეკეთება, საგანმანათლებლო ბაღების რემონტი და სხვა).

ბიუჯეტების ყოველკვარტალური და წლიური შესრულების შეფასება

წლის განმავლობაში სამიზნე მუნიციპალიტეტებში ხორციელდებოდა მუნიციპალური ბიუჯეტების ყოველკვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშის ანალიზი და შესაბამისი ანალიტიკური დოკუმენტების მომზადება. აღნიშნული ექსპერტული შეფასებები, რომლებიც მოიცავდა ადგილობრივი ბიუჯეტირების ექსპერტულ ხედვას (დოკუმენტების სრული ვერსია იხ. „ცენტრის“ ვებ-გვერდზე www.csrddg.ge).

მოსახლეობის ჩართვა საბიუჯეტო პროცესებში

ქსელის ექსპერტების მიერ მომზადდა სამიზნე მუნიციპალიტეტების 2011 წლის დამტ-

Identification of Existing Problems in Villages. In particular, it was revealed that the local population was not properly involved in the problem identification process (as required by the Program implementation rules). Often, the municipality representatives tried to manipulate the population and lobby for the solution of ‘problems’ which were mainly in the interests of the bureaucrats (e.g. refurbishment of the governor’s office). The municipalities received recommendations on such issues.

COMMUNITY YOUTH CENTERS BECAME VERY ACTIVE IN SEVERAL OF THE TARGET MUNICIPALITIES (LAGODEKHI, OZURGETI, TELAVI) AND LOBBIED ABOUT COMMUNITY PROBLEMS IN ORDER TO ADDRESS THEM THROUGH THE RURAL DEVELOPMENT PROGRAM. AS A RESULT, UP TO TEN SUCH PROJECTS WERE FINANCED (INCLUDING REPAIR OF SMALL BRIDGES AND VILLAGE ROADS, DRYING UP DITCHES, REPAIR TO KINDERGARTENS ETC.).

Quarterly and Annual Budget Implementation Assessment

During the year, the quarterly and annual budget implementation reports of the target municipalities were analyzed and corresponding analytical documents were prepared. Such assessments were made by experts and reflected the experts’ vision (the full version of the documents is available at the Center’s web page: www.csrddg.ge).

Inclusion of the Population in the Budgeting Process

The network’s experts prepared a simplified version of the target municipalities’ budgets approved for 2011. The budget presentations were organized for interested persons in Lagodekhi (Kakheti) and Ozurgety (Guria). During the presentations, the speakers and participants discussed the faults identified during the analy-

კიცებული ბიუჯეტების გამარტივებული ვერსია. დაინტერესებული მხარეებისათვის აღნიშნული დოკუმენტების პრეზენტაცია გაიმართა ლაგოდეხსა (კახეთი) და ოზურგეთში (გურია). პრეზენტაციებზე საუბარი იყო იმ უზუსტობებზე, რომლებიც სამიზნე მუნიციპალიტეტებში 2010-2011 წლების საბიუჯეტო პროცესების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, ასევე მუნიციპალიტეტების საქმიანობის გამჭვირვალობის მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებულ ხარვეზებზე. გარდა ამისა, განხილულ იქნა ქსელის ექსპერტების მიერ შემოხსენებული მიმართულებებით შემუშავებული რეკომენდაციები და ის ნაკლოვანებები, რომლებსაც გასულ წლებში ჰქონდა ადგილი და თვითმამართველობებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად დაიხვეწა 2011 წლისათვის.

პრეზენტაციებს ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, ადგილობრივი მედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, „ცენტრის“ ექსპერტები. ჩატარებული მონიტორინგის შედეგები ფართოდ გაშუქდა ცენტრალურსა და ადგილობრივ მედიაში.

sis of the budgeting processes of the target municipalities in 2010-2011, as well as shortfalls revealed during the transparency monitoring of their activities. The participants also discussed recommendations developed by the experts and problems of the previous period, which were addressed in 2011 as a result of joint efforts with the municipalities. The presentations were attended by top government officials, local media, representatives of civic organizations and the Center's experts. The monitoring results were widely covered by central and local media.

**ქვეპროგრამა —
კვლევა და რეფორმების
ხელშეწყობა**

**SUB-PROGRAM –
RESEARCH AND PROMOTION OF
REFORMS**

პროგრამის მიზანია საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოლიტიკის საკითხების საჯაროდ განხილვა და შეფასება, ასევე საზოგადოების სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელთა აზრის გათვალისწინების ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

The program goal is public discussion and assessment of policy issues important for the public, as well as enhancement of the influence of different social groups in the decision making process.

ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი და მწვავე საკითხების კვლევა, ანალიზი და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ინტერესთა დაცვის კამპანიების წარმართვა — ცენტრის მიდგომის ქვაკუთხედი. იგი ხორციელდება როგორც „ცენტრის“ ბაზაზე არსებული ექსპერტების, ისე მოწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ. კვლევების და რეფორმების ხელშეწყობის პროგრამა გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული საკითხების ირგვლივ კვლევით საქმიანობას, არამედ მის საჯაროდ განხილვას, „ცენტრის“ რეგულარული გამოცემების, დაინტერესებულ პირებთან შეხვედრების და სემინარების ორგანიზების გზით; თითოეული თემის ირგვლივ ექსპერტული რეკომენდაციების შემუშავებას და შესაბამისი ორგანოებისათვის მიწოდებას; გარდა ამისა, ხდება მათი გათვალისწინების მონიტორინგი და მიღებული შედეგების მასმედიის საშუალებებში გაშუქება.

2011 წელს, გარემოს ღრმა ანალიზის შედეგად, პროგრამის ფარგლებში შეირჩა ოთხი პრიორიტეტული სფერო: ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა; გარემოს დაბინძურება და გარემოსდაცვითი უფლებები; ხელისუფლების დეცენტრალიზაციის რეფორმა; მომხმარებელთა უფლებები. ჩამოთვლილ სფეროებში საკითხების შერჩევა მოხდა მათი სიმწვავის, საზოგადოებისა და სფეროს ექსპერტთა მხრიდან ინტერესის არსებობის კრიტერიუმებით. საბოლოოდ გამოკვეთილ საკითხებზე ჩატარდა კვლევები და განხორციელდა ინტერესთა დაცვის კამპანიები.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის სფეროში აქცენტი გაკეთდა შემდეგ საკითხებზე:

- სოციალური პროგრამების ანალიზი და მონიტორინგი – 2011 წლის დასაწყისში

The main approach involved research and analysis of issues that are important for the development of the country, as well as the implementation of campaigns for the protection of interests identified during such research and analysis. This task was undertaken with the help of the Center's experts, as well as highly qualified invited specialists. The scope of the Research and Reform Promotion Program was not limited to research of specific issues: it also envisaged public discussion of the results by means of the Center's regular publications, the organization of meetings and seminars with stakeholders, the development of recommendations by the experts and the submission of these recommendations to relevant institutions. It was also planned to monitor implementation of the recommendations and dissemination of results via the mass media.

In 2011, after the in-depth analysis of the environment, four priority areas were identified:

Economic and social policy;

Environmental pollution and ecological rights;

The Government's decentralization reform.

Consumer rights.

Within the above areas, the issues that had to be addressed were selected, based on their urgency and interests shown by the public and experts. Finally, these issues were investigated and campaigns organized to protect public interests.

პროგრამის ექსპერტებმა გამოითხოვეს და გაანალიზეს: სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიერ შემუშავებული პროგრამები, რომლებსაც სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტებით (იგულისხმება ცენტრის სამიზნე მუნიციპალიტეტების – ოზურგეთი, ჩოხატაური, ლაგოდეხი, სიღნაღი, თელავი — ბიუჯეტები) გათვალისწინებული სოციალური პროგრამები. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მონიტორინგის სამი მნიშვნელოვანი მიმართულება:

- სახელმწიფოს მიერ ბოლო ორ წელიწადში სოციალურ პროგრამებზე გამოყოფილი თანხების ანალიზი;

- თითოეულ პროგრამაზე სრული ინფორმაციის შეგროვება, კერძოდ: დაფინანსების მოცულობა, სამიზნე ჯგუფები, დახმარების მოცულობა, მიზნები, ამოცანები, სპეციფიკური საქმიანობა, განმახორციელებელი სააგენტო, პროგრამის მონიტორინგის შედეგები, განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები;

- ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამების დოკუმენტების დეტალური ანალიზი და სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის, აღნიშნული სტატუსის განმსაზღვრელი ქულების მინიჭების მეთოდოლოგიის შესწავლა.

სამიზნე მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტებით გათვალისწინებული სოციალური პროგრამების დოკუმენტური და საველე მონიტორინგის შედეგები იხილეთ 54 გვერდზე.

რაც შეეხება საქართველოში მოქმედ სოციალურ და ჯანდაცვით პროგრამებს, აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა ამ მიმართულებით მოქმედი პროგრამების მიმოხილვა და მონიტორინგი. კვლევაში ასახულია 2010-2011 წლებში მოქმედი სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაცია: დაფინანსების მოცულობა; ბენეფიციარები; პროგრამაში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი და პროცედურები; პროგრამის განვითარების დინამიკა წლების მიხედვით.

ყველაზე მაღალბიუჯეტიან სოციალურ პროგრამას, საპენსიო უზრუნველყოფის შემდეგ წარმოადგენს „სოციალური დახმარება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის“. კვლევის ფარგლებში დეტალურად იქნა განხილული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ

In the area of economic and social policy the focus was on the following issues:

- analysis and monitoring of social programs – at the beginning of 2011, the Program's experts received and analyzed the following materials: the social programs developed by the Agency of Social Subsidies and funded by the Government from the central and local budgets (i.e. budgets of the Center's target municipalities: Ozurgeti, Chokhatauri, Lagodekhi, Signagi, and Telavi). The work covered three important areas:

- Identification of funds allocated by the State for social programs during the last two years;

- Collection of full information about each program, namely: the volume of funds, target groups, the assistance amounts, purpose, goals, specific activities, the implementing agency, the program monitoring results, documents confirming implementation of activities;

- Detailed analysis of the health insurance program documents, and study of the assessment methods applied for assigning the category of a Socially Vulnerable Person.

The results of the documentary and field monitoring of **social programs funded from the local budgets in the target municipalities** are given on page 54.

The research also aimed at reviewing and monitoring the **social and healthcare programs currently implemented in Georgia**. It contains information on programs implemented in 2010-2011, such as: the volume of funds, beneficiaries, the list of documents required and procedures necessary for inclusion in the program, and the annual program development dynamics.

მყოფი ოჯახების შეფასების მეთოდოლოგია (მათ შორის მათემატიკური მეთოდები) და დადგინდა შეფასების მეთოდოლოგიის ხარვეზები, რომელთა შედეგად, შესაძლებელია, სოციალურად დაუცველი ოჯახი ვერ მოხვდეს აღნიშნულ პროგრამაში. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების შეფასების მეთოდოლოგიაში გამოვლენილი ხარვეზები გახლდათ: მეთოდის გამჭვირვალობის ძალიან დაბალი ხარისხი; საერთო შეფასებაში ინტერვიუერის კოფიციენტის მაღალი წონა, რაც სუბიექტური შეფასების შესაძლებლობის ძალიან მაღალ ხარისხს იძლევა; ქულების მინიჭების დროს ოჯახის საკუთრებაში არსებული ნივთების გადაჭარბებული შეფასება და სხვა.

• **საქართველოს ეკონომიკური რეფორმების 2010 წლის კურსი** – კვლევაში მოცემულია ქართული შრომის ბაზრის მიმოხილვა. გაანალიზებულია ასევე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: საბიუჯეტო-საგადასახადო ცვლილებები, სახელმწიფო ვალის ზრდის ტენდენციები, ფულად-საკრედიტო გარემო, ეკონომიკური თავისუფლებისა და ღირსების აქტი. საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების დღევანდელი კურსიდან გამომდინარე, ორი მთავარი დასკვნის გამოტანა შეიძლება:

- არამართებულია, სახიფათო თუ არა, პოლიტიკური მისწრაფებებით ეკონომიკური და, განსაკუთრებით, სოციალური პოლიტიკის წარმართვა. დეკლარირებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრიორიტეტებს უფრო პოლიტიკურ-პროპაგანდისტური ელფერი დაჰკრავს;
- არ არსებობს რეალური ეკონომიკური სტატისტიკა – არ არსებობს სანდო ეკონომიკური ანალიზი, რომ არაფერი ვთქვათ პროგნიზირებაზე. ერთია გაურკვეველი, რით არის ეს განპირობებული: ჩვენი არაპროფესიონალიზმით თუ ჭეშმარიტი სურათის დანახვის შიშით.

• **ანტიკრიზისული მენეჯმენტის ძირითადი ასპექტები** – კვლევაში განხილულია: ანტიკრიზისული მენეჯმენტის როლი და ამოცანები, კრიზისული სიტუაციების სიმპტომები და განვითარების ეტაპები, კრიზისული სიტუაციის დიაგნოსტიკა და ანტიკრიზისული მართვის მეთოდები. ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა დაკავშირებულია რისკთან და ეს რისკები გამოირჩევა მრავალფეროვნებით. ქართული კომ-

The largest budget allocation is for pensions: the second largest is the Social Assistance for Families below the Poverty Level. During the research, the methodology applied for classifying socially vulnerable people (including mathematical methods) was studied in detail. As a result, problems in the assessment methodology were identified due to which some socially vulnerable families might be left out. Some of the problems identified were: very low levels of transparency; the high weighting of the interviewer's coefficient in the total assessment, which allows for a very biased assessment; the overestimation of the value of items owned by a family etc.

• **Georgia's economic reforms in 2010** – the research offers an overview of the Georgian labor market. It also analyses other important issues, such as: changes in the budget/tax legislation, the State debt increase trends, the fiscal/credit environment and the Act of Economic Freedom and Dignity.

Georgia's current course of economic reforms gives rise to two main conclusions:

- *It is unjustifiable, if not dangerous, to use economic and especially social policy for political interests – the declared social and political priorities sound more like political propaganda.*
- *There are no realistic economic statistics – there is no reliable economic analysis, to say nothing of forecasts, although it is not clear whether this is caused by the lack of professionalism or a fear of seeing the true picture.*

• **The main aspects of managing the financial crisis** – the research reviews the following issues: the role and goals of crisis management; crisis symptoms and phases; crisis diagnostics and crisis management methods.

პანიები, მათ შორის მსხვილი კომპანიებიც, ნაკლებად უთმობენ ყურადღებას რისკების იდენტიფიცირებასა და ანალიზს. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა ნათლად აჩვენეს, რომ საქართველოში საკმაოდ პოპულარულმა კომპანიებმაც კი ვერ მოახერხეს ფორსმაჟორულ სიტუაციებში ფუნქციონირება და ზარალის მინიმიზება, მათ არ აღმოაჩნდათ რისკების შემცირების მექანიზმები და ანტიკრიზისული გეგმა.

- **საბიუჯეტო პოლიტიკა საქართველოში: პრობლემები და ტენდენციები.** 2008 წლის აგვისტოს რუსული აგრესია და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საქართველოს ეკონომიკაზე და საჯარო ფინანსებზე საკმაოდ ნეგატიურად აისახა. აღნიშნული ორი მოვლენა ისე ერთდროულად დაემთხვა დროში ერთმანეთს, რომ ძალიან რთულია საჯარო ფინანსებზე რომელიმე მათგანის გავლენის ცალკე გამოყოფა და შეფასება. კვლევის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო ფინანსების და კონკრეტულად საბიუჯეტო პოლიტიკის შეფასება, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების დადგენა. კვლევაში განხილულია სახელმწიფო ბიუჯეტი და მისი ძირითადი პარამეტრები; ასევე მათი გავლენა მაკროეკონომიკურ სიდიდეებზე. მოკლედ არის მიმოხილული საკანონმდებლო ბაზის ნაკლოვანებები; საბიუჯეტო ფონდების ბუნდოვანება; სახელმწიფო ვალის სიმძიმე და მართვის პრობლემატიკა; ახალი საგადასახადო კოდექსისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ურთიერთკავშირი; ბიუჯეტის გამჭვირვალობა და პროგრამული ბიუჯეტი.
- **ეკონომიკური მიმოხილვა (2010 წელი).** უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ძვრები განხორციელდა, რამაც ფაქტობრივად შეცვალა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ვექტორი და ქვეყანა ახალი გამოწვევებისა და, ამავდროს, ახალი საფრთხეების წინაშე დააყენა. საქართველოში ფართომასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმები 2004 წლიდან დაიწყო, რამაც ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. კვლევაში მოცემულია 2004-2010 წლებში

Any entrepreneurial activity is accompanied by risks that are very diverse. Georgian companies, including large ones, do not pay enough attention to risk identification and analysis. The global economic events of August 2008 demonstrated that even popular companies failed to operate in force majeure and minimize losses. They did not have risk reduction mechanisms and crisis planning.

- **Budget policy in Georgia: problems and tendencies** – the Russian aggression of August 2008 and the global economic crisis had very negative impacts on the Georgian economy and public finance. Since these two events happened at the same time, it is very difficult to differentiate and evaluate the influence of either of them on the public finance. The goal of this research was to evaluate the situation apropos the public finance, and specifically the budget policy, in order to identify its strengths and weaknesses. The research reviews the State Budget and its main parameters, as well as their impact on macroeconomic values. It also briefly describes shortcomings in the legal framework; the uncertainty of budget funds; the burden of the State debt and management problems; the interrelation between the new Tax Code and the State Budget; budget transparency and the program budget.

- **Economic Overview (2010)** – In recent years the Georgian economy has gone through dramatic changes. The country's social and economic sector has changed and new challenges and risks have appeared. In 2004 large scale economic reforms resulted in significant changes in the economy. The research offers a general analysis of Georgia's social and economic condition in 2004-2010, focusing on the main social and economic

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი მიმოხილვითი ანალიზი, რომელიც კონცენტრირებულია ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებზე: მთლიანი შიდა პროდუქტი; ინფლაცია; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; საგარეო ვაჭრობა; დასაქმება და ხელფასები; საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში.

• **საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის ანალიზი.**

კვლევა მოიცავს ბიუჯეტის ყველა პარამეტრის შედარებით ანალიზს წინა წლის მაჩვენებლებთან, ასევე ექსპერტულ შეფასებებსა და დასკვნებს.

დაინტერესების შემთხვევაში, ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს კვლევების სრულ ვერსიას „ცენტრის“ ვებ-გვერდზე www.csrldg.ge.

2011 წელს ჩატარებული ყველა კვლევა მოიცავს კონკრეტულ დასკვნებსა და წინადადებებს. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების აქტუალიზაცია კამპანიურ ხასიათს ატარებდა, რაც გულისხმობდა საკითხის ირგვლივ საჯარო განხილვების და სემინარების მოწყობას, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას და მიწოდებას, ასევე მასმედის საშუალებებში საკითხების ფართოდ გაშუქების სტიმულირებას.

2011 წელს ცენტრის ექსპერტების მიერ საჯარო დანახაზებულობისთვის მიწოდებული რეკომენდაციების 50% გათვალისწინებულია. კერძოდ: დაიხვეწა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის იდენტიფიცირების მექანიზმი; შეიქმნა ანტიმონოპოლიურ რეგულირებასთან დაკავშირებული კანონპროექტი, რომელიც პარლამენტში შევიდა განსახილველად; დაიხვეწა სახელმწიფო ბიუჯეტის კლასიფიკატორი და შემუშავდა პროგრამული ბიუჯეტების შედგენის მეთოდოლოგია; დაიწყო მუშაობა საჯარო ფინანსების განაწილების ახალ მექანიზმის შემუშავებაზე.

development trends: GDP, inflation, direct foreign investments, foreign trade, employment and salaries and Georgia's place in international ratings.

- **Analysis of Georgia's Draft Budget 2012 –** The research offers a comparison of all the budget parameters with those of previous years, as well as expert assessments and conclusions.

The complete version of the research is published on the Center's web-page: www.csrldg.ge.

All studies conducted in 2011 include specific conclusions and proposals. The importance of the above-mentioned issues was emphasized through campaigns that included public discussions and seminars, the development of recommendations for government institutions, and stimulation of wide coverage of the issues by the media.

IN 2011, 50% OF THE RECOMMENDATIONS GIVEN TO PUBLIC INSTITUTIONS BY THE CENTER'S EXPERTS WERE TAKEN INTO ACCOUNT. IN PARTICULAR: THE MECHANISM FOR IDENTIFYING SOCIALLY VULNERABLE PEOPLE WAS IMPROVED; DRAFT ANTI-TRUST LAW WAS DEVELOPED AND SUBMITTED TO PARLIAMENT; THE CENTRAL BUDGET CLASSIFIERS WERE REFINED AND THE PROGRAM BUDGET DEVELOPMENT METHODOLOGY ELABORATED; THE DEVELOPMENT OF A NEW PUBLIC FINANCE DISTRIBUTION MECHANISM ALSO STARTED.

ხელისუფლების დეცენტრალიზაციის რეფორმა

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით, 2010 წლიდან ახორციელებდა პროექტს „ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერება — გზა დეცენტრალიზაციისკენ“. პროექტის მიზანი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეების შესაძლებლობების განვითარება ისეთ სფეროებში, როგორიცაა მუნიციპალური ქონების ფორმირება და განკარგვა, ადგილობრივი ბიუჯეტირება და მუნიციპალური მომსახურება.

2011 წელს, პროექტის ფარგლებში, ჩატარდა კვლევა „ფისკალური დეცენტრალიზაცია საქართველოში“. კვლევის მიზანი გახლდათ საქართველოს თვითმმართველი ერთეულების ფისკალური დამოუკიდებლობის ხარისხის შეფასება და დეცენტრალიზაციის შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირება. კვლევა მოიცავდა 2007-2010 წლების პერიოდს.

დოკუმენტის მომზადებას წინ უსწრებდა ცენტრის ექსპერტების მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსების ციკლი თვითმმართველი ერთეულის ქონების ფორმირებისა და განკარგვის, ადგილობრივი ბიუჯეტირებისა და მუნიციპალური მომსახურების საკითხებზე. თბილისსა და საქართველოს რეგიონებში გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 427-მა საჯარო მოსამსახურემ, საქართველოს თითქმის ყველა თვითმმართველი ერთეულიდან. შეხვედრებზე ადგილობრივი ხელისუფლების ფისკალური ავტონომიის საკითხებთან დაკავშირებული არაერთი პრობლემა გამოიკვეთა. ცენტრის ექსპერტების მიერ მომზადდა შემაჯამებელი ანგარიში, სადაც ასახულია ეს პრობლემები, მათი ანალიზი და სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები (ანგარიშის სრული ვერსია იხილეთ „ცენტრის“ ვებ-გვერდზე www.csr.dg.ge). აღნიშნული მასალები საფუძვლად დაედო ზემოხსენებული კვლევის ხარისხობრივი ანალიზის ნაწილს.

The Government Decentralization Reform

In 2010, with financial support from the Delegation of the European Union to Georgia, the Center for Strategic Research and Development of Georgia started the implementation of a Project: “Strengthening Local Authorities – the Way towards Decentralization”. The purpose of the project was the capacity-building of local self-governing bodies through training local civil servants on issues related to the formation and disposal of municipal property, the development of local budgets and municipal services.

In 2011, within this Project, research was undertaken on Fiscal Decentralization in Georgia. The goal of this research was to assess the fiscal independence of self-governing authorities in Georgia and identify the factors hindering de-



ამასთან, ფისკალური დეცენტრალიზაციის რეფორმის დადებითი და უარყოფითი ტენდენციების წარმოჩენის მიზნით, საფუძვლიანად გაანალიზდა თვითმმართველი ერთეულების საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ცვლილებების დინამიკა 2007 წლიდან 2011 წლამდე; განხორციელდა საქართველოს ყველა თვითმმართველი ერთეულის, სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების 2007, 2008, 2009, 2010 წლების ბიუჯეტების შესრულების და 2011 წლის დამტკიცებული ბიუჯეტების დოკუმენტური ანალიზი; გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულისა და მისი გამოთვლის ინსტრუქციაზე დაყრდნობით, განხორციელდა თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობების გაანგარიშება და მათი შედარება 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ტრანსფერების ოდენობასთან. ასევე, ფორმულის სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენის მიზნით, გაანალიზდა მასში შემავალი პარამეტრები და განხორციელდა მათი ცვლილების მოდელირება. ანალიზის დროს თვითმმართველი ერთეულები დაიყო თვითმმართველ ქალაქებად და მუნიციპალიტეტებად. ფისკალური დეცენტრალიზაციის ხარისხისა და ტენდენციების შეფასებისას, ასევე, გამოყენებული იყო მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული ინდიკატორები.

კვლევა აჩვენა, რომ:

- საჯარო ფინანსების უდიდესი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში რჩება თავმოყრილი; 2008-2010 წლების განმავლობაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილება არ განხორციელებულა;
- თვითმმართველი ერთეულების დამოკიდებულება ცენტრიდან მიღებულ ტრანსფერებზე კვლავაც ძალიან მაღალია. თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან დახარჯული თანხების უმეტესი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტის სახით არის გაცემული, რაც აღრმავებს ვერტიკალურ დისბალანსს;
- ქვეყანაში მობილიზებული გადასახადების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ირიცხება თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში, რაც ამცირებს მათ დაინტერესებას, ხელი შეუწყონ საკუთარ ტერიტორიაზე ეკონომიკურ აქტივობას;
- ვერ დასრულდა 2005 წელს დაწყებული

centralization. The research covered the period 2007-2010.

Before starting work on the document, the Center's experts organized a cycle of informative courses on issues related to the formation and disposal of municipal property, the development of local budgets and municipal services. The events organized in Tbilisi and different regions of Georgia were attended by 427 civil servants from almost all the country's self-governing units. The meetings helped to identify many of the fiscal autonomy problems of local authorities. The Center's experts prepared a summary report containing a description of the problems, their analysis and recommendations (the full version of the report is published on the Center's web-page: www.csr.dg.ge). These materials were used as a basis for the analytical part of the above research.

In order to identify the strengths and weaknesses of the reform, amendments made to the legislation regulating the financial and budgetary issues of self-governing units during the period 2007-2011 were analyzed in detail; the budget implementation reports of all self-governing bodies, the central budget and autonomous republics for 2007, 2008, 2009, 2010 (as well as the budgets approved for 2011) were studied; the volumes of equalization transfers payable to each self-governing body were calculated in compliance with the equalization formula and calculation instructions and then compared to the transfers allocated in the State budget for 2011. To identify the strengths and weaknesses of the formula, all its components were analyzed and possible changes modeled. During the analysis, the self-governing units were divided into self-governed cities and municipalities. The indicators developed by the World Bank were also used for the assessment of the decentralization level and trends.

თვითმმართველი ერთეულის ქონების ფორმირების პროცესი, რაც შეიძლება გამხდარიყო მათი ეკონომიკური და ფინანსური დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი გარანტი;

- ტრანსფერებით თანხების განაწილება ხშირად ეყრდნობა სუბიექტურ გადაწყვეტილებებს, რაც ხელს უშლის რესურსების ეფექტიან განაწილებას;
- თვითმმართველი ერთეულების გათანაბრება არ არის დამყარებული მათ კომპეტენციებში შემავალი საზოგადოებრივი სერვისების მინიმალურ სტანდარტებზე და შესაბამის ფინანსურ ნორმებზე;
- სესხის აღების საკანონმდებლო პროცედურა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისთვის ხისტი და მოუქნელი რჩება, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს თვითმმართველი ერთეულებისთვის, კაპიტალური ინვესტიციების მიღების მიზნით, კაპიტალის ეროვნული ბაზრის რეალურ ხელმისაწვდომობას.

დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს კვლევის სრულ ვერსიას „ცენტრის“ ვებ-გვერდზე www.csr.dg.ge.

ზემოხსენებული კვლევის შედეგების განხილვის მიზნით, ჩატარდა სემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ სფეროს ექსპერტები, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების და თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლები. დამსწრეებმა დადებითად შეაფასეს კვლევაში მოცემული შენიშვნები და რეკომენდაციები, ხაზი გაუსვეს მათი პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობას. კვლევის შედეგად მიწოდებული რეკომენდაციების ნაწილის გათვალისწინება იგეგმება 2012 წელს.

გარდა ამისა, მოეწყო შემაჯამებელი კონფერენცია, სადაც ცენტრის ექსპერტებმა ფართო საზოგადოებას გააცნეს პროექტის — „ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერება — გზა დეცენტრალიზაციისკენ“ — შედეგები.

გარემოს დაბინძურების და გარემოსდაცვითი უფლებების სფერო

2011 წელს „ცენტრის“ ექსპერტი აქტიურად იყო ჩართული ორი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი დოკუმენტის საბოლოო ვერსიის

The Research revealed the following facts:

- The biggest share of public finance is still concentrated in the Central Budget; no significant changes occurred in this area in 2008-2010;
- The dependence of self-governing units on transfers from the Central Budget is still very high; the majority of such transfers are made in the form of grants, which deepens the vertical imbalance;
- Only an insignificant part of the tax revenues collected is transferred to the budgets of local self-governing units; as a result, the units have fewer incentives to promote economic activities on their territories;
- 'The process of 'forming property' (the transfer of State property assets to local municipalities/self-governing units), which could become an important guarantee of their economic and financial independence, was started in 2005 but never completed;
- Transfer allocation is often based on arbitrary decisions, thus preventing efficient distribution of resources;
- The minimal standards and corresponding financial norms of public services within the remit of self-governing units are not taken into account during equalization;
- The legal procedure for borrowing funds by self-governing units is still very rigid and inflexible; it practically blocks their access to the national capital market and excludes the possibility of capital investments.

The full version of the report is published on the Center's web-page: www.csr.dg.ge.

The research results were discussed at a specially organized seminar, attended by experts working in this particular field, representatives of government institutions, NGOs and self-governing bodies. The participants gave the

მომზადებაში, ესენია გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული ანგარიში და გარემოს დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმა (დღეს-დღეობით ორივე დამტკიცებულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ).

გარდა ამისა, „დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსთან“ თანამშრომლობით „ცენტრმა“ მოამზადა გარემოსდაცვითი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების დოკუმენტი.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფერო

2011 წელს პროგრამის ექსპერტები მუშაობდნენ, ერთი მხრივ, საქართველოს კანონმდებლობაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ადეკვატურად ასახვის ხელშეწყობის მიმართულებით, ხოლო, მეორე მხრივ, მიმდინარეობდა მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათზე რეაგირება.

აღსანიშნავია, რომ 2011 წელს, „ცენტრის“ ექსპერტების კალისხმავით, გარკვეული ცვლილებები შევიდა სურსათის კონტროლთან დაკავშირებით მიღებულ სამთავრობო დადგენილებაში და „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“.

კერძოდ, დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, სურსათის უსაფრთხოების ეროვნულ სააგენტოს უფლება აქვს, სასამართლოს დადგენილების გარეშე, შეამოწმოს სურსათის მწარმოებელი ან მაღაზია (ცვლილებების შეტანამდე ზემოხსენებული შეუძლებელი იყო სასამართლოს დადგენილების გარეშე). კანონპროექტში შეტანილი ცვლილებების შედეგად კი შესაძლებელი გახდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სურსათის მწარმოებელი ან გამყიდველი მწარმის არაგეგმური შემოწმება მომხმარებლის საჩივრის საფუძველზე (რაც ადრე შეუძლებელი იყო), თუმცა ამ საჩივარს თან უნდა ახლდეს ექიმის ცნობა მომხმარებლის მონამგლის და ლაბორატორიული დასკვნა სურსათის მავნეობის შესახებ.

სამწუხაროდ, 2011 წელს მთავრობამ პარლამენტის

study's recommendations a positive assessment and stressed that the implementation of the recommendations was possible. Implementation of some of the recommendations is planned for 2012.

In addition, the Center organized a summarizing conference to enable the Center's experts to inform the public about the results of the Project “Strengthening Local Authorities – the Way towards Decentralization”.

Environmental Pollution and Ecological Rights

In 2011, the Center's expert actively participated in drafting the final version of two important environmental documents: “The National Environmental Report” and “The Environmental National Action Plan” (both documents have now been approved by the Ministry of Environment and Natural Resources).

At the same time, in cooperation with the Agency of Disease Control and Public Health, the Center has prepared the Environmental Health Assessment Report.

Consumer Rights Protection

In 2011, the Program's experts worked on the promotion of adequate human rights legislation and identification of consumer right violations and a relevant response.

IT IS WORTH NOTING THAT IN 2011, THANKS TO THE EFFORTS OF THE CENTER'S EXPERTS, CERTAIN AMENDMENTS WERE MADE TO THE GOVERNMENT RESOLUTION ON THE CONTROL OF FOOD PRODUCTS AND THE CODE OF GEORGIA ON FOOD/ANIMAL FEED SAFETY, VETERINARY AND PLANT PROTECTION.

In particular, as a result of these amendments, the National Food Agency of Georgia has the right to check food producers or food stores without the necessity of court permission

მენტში შეიტანა კანონების პაკეტი, რომლითაც მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონი გაუქმდა. მის ნაცვლად მიღებული „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ მომხმარებელთა უფლებების მხოლოდ ნაწილი იქნა გათვალისწინებული, რის შედეგადაც მომხმარებელთა უფლებები საქართველოში სერიოზულად შეიზღუდა. მაგალითად, თუ ადრე, მომხმარებლის მიერ ნაკლის მქონე პროდუქტის შეძენისას, პროდუქტის შეძენიდან 6 თვის განმავლობაში მოქმედებდა „უდანაშაულობის პრეზუმცია“ (რაც ნიშნავდა, რომ გამყიდველს ეკისრებოდა იმის მტკიცება, რომ ნივთი გაყიდვისას უნაკლო იყო), ახალი კანონმდებლობით ეს გაუქმდა და თავად მომხმარებელს დაეკისრა იმის მტკიცების ვალდებულება, რომ ნივთს ნაკლი გაყიდვისას ჰქონდა.

ცენტრის ექსპერტებმა როგორც მთავრობაში, ასევე პარლამენტში კანონმდებლობის აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით წარადგინეს რიგი შენიშვნებისა. თუმცა ეს შენიშვნები გაზიარებული არ იქნა. საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული შენიშვნები გაეგზავნა აგრეთვე ევროკავშირის წარმომადგენლობას, თხოვნით, რომ ისინი გათვალისწინებული ყოფილიყო ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულების თაობაზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებების დროს. „ცენტრი“ აგრეთვე აპირებს აღნიშნული საკითხების ლობირებისთვის გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო ფორუმის ეროვნული პლატფორმა და მისი შესაძლებლობები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2011 წელს ხდაზოდა მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, გიზნეს კომპანიებისგან და სურსათის ეროვნული სააგენტოსგან ღია წერილობით მათი აღმოფხვრის მოთხოვნა. ამ საკომიანოების შედეგად გამოვლენილი დარღვევების 1/3 გამოსწორდა.

ვფიქრობთ, რომ მსგავსი მაგალითები ხელს შეუწყობს მკაცრი კანონმდებლობის მიმართ ბიზნესის ნეგატიური დამოკიდებულების შემცირებას, ეს კი, თავის მხრივ, გავლენას იქონიებს სამთავრობო სტრუქტურების გადაწყვეტილებებზე, ცენტრის ექსპერტების მიერ მინოდებული რეკომენდაციების გათვალისწინების მიმართულებით.

(which was required prior to the amendment). Since the amendment, it has become possible for the National Food Agency of Georgia to carry out unannounced inspections of food producers and retailers based on customer complaints (which was impossible before the amendment) – although each complaint must have an attached certificate from a doctor confirming the food poisoning case and a laboratory report confirming the harmfulness of the food product.

Unfortunately in 2011, the Government submitted to Parliament a package of laws that abolished the Law of Georgia on the Protection of Consumer Rights. It was replaced with the Code of Product Safety and Free Trade which protects only some of the consumer rights. As a result, the consumer rights were seriously limited in Georgia: e.g. before the changes, customers had 6 months from the date of purchase to return a faulty/damaged product to the vendor (i.e. it was the seller's responsibility to prove that the product did not have any problems). The new law abolished this provision and it is now up to the client to prove the poor quality of a product at the time of purchase.

The Center's experts submitted a number of comments to the Government and Parliament regarding these amendments but they have not been taken into account. The comments were also sent to the Delegation of the European Union to Georgia asking it to take them into consideration during negotiations between the EU and Georgia regarding the Deep and Comprehensive Free Trade Agreement. The Center is also planning to use the Civil Society Forum – the Georgian National Platform for lobbying on these issues.

AS ALREADY MENTIONED ABOVE, CASES OF CONSUMER RIGHT VIOLATION WERE IDENTIFIED IN 2011. OPEN LETTERS WERE SENT TO THE COMPANIES, AS WELL AS TO THE NATIONAL FOOD AGENCY OF GEORGIA, REQUESTING THE PROBLEM BE ADDRESSED. AS A RESULT, 1/3 OF THE VIOLATIONS HAVE BEEN CORRECTED.

2011 წელს „ცენტრი“ ახორციელებდა „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ მიერ დაფინანსებულ პროექტს „მომხმარებელი აკონტროლებს სასურსათო პროდუქციას“. პროექტის მიზანი გახლდათ მთავრობისთვის იმის დემონსტრირება, რომ გასაყიდად გამოტანილი სურსათის უვნებლობა არ არის დაცული და აუცილებელია სურსათის კონტროლის გამკაცრება. ამისათვის, პროექტის ფარგლებში, ამუშავდა სურსათის ცხელი ხაზი, რომელზეც მოქალაქეებს შეეძლოთ თავიანთი პრეტენზიების მიწოდება. გარდა ამისა, საჩივრების გაგზავნა შესაძლებელი იყო ფეისბუქიდან და სპეციალური თემატური ვებ-პორტალიდან www.momxmarebeli.ge შესული საჩივრის გადამოწმება ხდებოდა მომხმარებლის მიერ მითითებული პროდუქტის მითითებულ მაღაზიაში შესყიდვით და ამ პროდუქტში შესაბამისი პარამეტრის ლაბორატორიული გაზომვით. „ცენტრის“ ექსპერტების მიერ განიხილებოდა ასევე ეტიკეტირების ნორმების დარღვევებზე შემოსული საჩივრებიც. ყველა მიღებული შედეგი ქვეყნდებოდა ზემოხსენებულ ვებ-პორტალზე და ფეისბუქის გვერდზე. გამოვლენილი დარღვევების შესახებ წერილობითი ინფორმაცია მიეწოდებოდა სურსათის მწარმოებელს, გამყიდველ მაღაზიას და სურსათის ეროვნულ სააგენტოს. იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებელი ან მაღაზია არ ეთანხმებოდნენ მიღებულ შედეგებს, მათ შესაძლებლობა ჰქონდათ იმავე ვებ-პორტალზე გამოექვეყნებინათ საწინააღმდეგო მტკიცების დამადასტურებელი ინფორმაცია.

We believe that such examples will help to reduce the negative attitude of private companies towards the strict legislation and Government entities will be less reluctant to take into account recommendations of the Center's experts.

In 2011 the Center implemented a project funded by the Eurasia Foundation, “The Control of Food Products by Consumers”. The objective of this project was to demonstrate that the safety of food offered for sale is not guaranteed and stricter control is necessary. For this purpose, a Hot Line was established by the Project. Citizens had an opportunity to call and provide information to back their complaint. Besides, complaints could also be sent using Facebook and a special thematic web-portal www.momxmarebeli.ge. Complaints received were checked by the Center's experts who bought the products at the specified stores and tested them in a laboratory. The Center's experts also studied complaints concerning labels. All results were published on the above web-portal and Facebook. Information about violations was submitted to the food producer, the shop and the National Food Agency. If the producer and the merchant disagreed with the results, they had an opportunity to publish a refutation along with proof on the same web-portal.



აღმოფხვრილი დარღვევების რამდენიმე მაგალითი:

- 4 მაღაზიაში აღმოჩნდა 4 ტიპის კვარცხი, რომელზეც გამომწვების ვადა არ იყო მითითებული. ცენტრის ექსპერტების მითითების შედეგად, ოთხივე მაღაზიაში დარღვევა აღმოიფხვრა;
- „გუდვილის“ მაღაზიაში პურის გადმოტვირთვა ხდებოდა არაჰიგიენურ პირობებში. მითითების შემდეგ მაღაზიამ მოქმედება აკრძალა ტრანსპორტირება-გადმოტვირთვის ეს მეთოდი;
- „ეკოფუდის“ და „შატილის“ სპრედს ერქვა „კარაქი“. ექსპერტების მითითების შემდეგ, მენარამე შეცვალა ეტიკეტი;
- ერთ-ერთ მაღაზიაში აღმოჩნდა მიკრობიოლოგიურად დაზიანებული სოსისი. „ცენტრის“ ექსპერტების შეტყობინებიდან 2,5 თვის შემდეგ, გადამწვების მიზნით, იმავე მაღაზიაში შექანილი იგივე პროდუქტი დაზიანებული აღარ იყო;
- ერთ-ერთ მაღაზიაში აღმოჩნდა მიკრობიოლოგიურად დაზიანებული შეგოლილი თევზი. შეტყობინების შემდეგ, მაღაზიამ პროდუქტი გაყიდვიდან ამოიღო.

აღსანიშნავია, რომ „ცენტრის“ მიერ შექმნილი ვებ-პორტალი www.momxmarebeli.ge მომხმარებელთა დიდი ინტერესით სარგებლობს, რადგან მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო-ინფორმაციული დატვირთვა აქვს. პორტალზე განთავსებულია ინფორმაცია მომხმარებელთათვის აქტუალურ სხვადასხვა თემებზე, კერძოდ: როგორ აირჩიონ სასურსათო პროდუქტი; როგორ მოექცნენ, თუ ნაკლის მქონე პროდუქტი შეიძინეს; რა მოეთხოვება მაღაზიას; რა მოთხოვნები არის დაწესებული სურსათისთვის; რა ნორმატიული აქტები არეგულირებს ამა თუ იმ საომომხმარებლო სფეროს. გარდა ამისა, ვებ-პორტალის მომხმარებლებს საშუალება აქვთ ერთმანეთში გაცვალონ ინფორმაცია სხვადასხვა სამომხმარებლო სფეროში არსებულ მომსახურების ხარისხზე

Several Examples of Corrected Violations:

- FOUR SHOPS SOLD 4 TYPES OF EGGS ON WHICH THE DATE OF PRODUCTION WAS NOT INDICATED. AFTER THE COMMENTS MADE BY THE CENTER'S EXPERTS THE VIOLATION WAS CORRECTED IN ALL THESE SHOPS;
- THE SUPERMARKET 'GOODWILL' WAS USING AN UNHYGIENIC METHOD FOR LOADING BREAD. FOLLOWING THE CRITICAL COMMENT, THE SHOP STOPPED USING THIS METHOD OF TRANSPORTATION AND LOADING;
- A SPREAD PRODUCED BY ECOFOOD AND SHATILI WAS CALLED "BUTTER". BASED ON THE EXPERT'S INSTRUCTIONS THE PRODUCERS CHANGED THE LABELS;
- ONE OF THE SHOPS WAS SELLING MICROBIOLOGICALLY CONTAMINATED SAUSAGES. THE CENTER'S EXPERTS SENT A NOTIFICATION ABOUT THIS VIOLATION. A REPEAT INSPECTION CARRIED OUT 10 WEEKS LATER SHOWED THE SAME PRODUCT BOUGHT AT THE SAME SHOP WAS NO LONGER CONTAMINATED;
- ONE OF THE SHOPS WAS SELLING MICROBIOLOGICALLY CONTAMINATED SMOKED FISH. AFTER THE CENTER'S NOTIFICATION THE SHOP STOPPED SELLING THE PRODUCT.

It must be noted that the web-portal created by the Center - www.momxmarebeli.ge - is very popular with consumers because of its informative and educational nature. It provides them with essential information on a wide variety of topics, such as: how to select food products; what to do if the quality of a purchased product is unsatisfactory; what are merchants' obligations; what are the requirements on food products; which normative documents regulate different areas of consumption. In addition, the web-portal users have the opportunity of exchanging information on service quality or cases of unfair treatment that they had witnessed.

ან უსამართლობაზე, რომელსაც ისინი წააწყდნენ. გარდა ამისა, ფეისბუქის გვერდზე და ტელეფონით მომხმარებლებს შეუძლიათ კითხვით ან კონსულტაციის მიღების თხოვნით მიმართვა და „ცენტრის“ სურსათის ექსპერტ-კონსულტანტისგან პასუხის მიღება.

ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის პროგრამა

2011 წელს „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ ჩართული იყო APRODEV-ის მხარდაჭერით მიმდინარე კოალიციურ პროექტში, რომელიც ითვალისწინებდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების ანალიზს. პროექტის მსვლელობაში, „ცენტრის“ ექსპერტების მიერ შესწავლილი იყო ისეთი საკითხები როგორიცაა: სახელმწიფო შესყიდვები და კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, დეცენტრალიზაცია.

აღმოსავლეთ პარტნიორობის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფორუმის (CSF for EaP) ერთობლივი მიმართვა რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების კონფერენციისადმი (CORLEAP)

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“ 2011 წელს, ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ პარტნიორობის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფორუმის (CSF for EaP) ერთობლივი მიმართვის (ოსიტიონ აპერ) შემუშავებას რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების კონფერენციისადმი (CORLEAP), აღნიშნულ ქვეყნებში ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე მიმდინარე საჯარო მმართველობის რეფორმების საჭიროებებთან დაკავშირებით.

საწყის ეტაპზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფორუმის საჯარო მმართველობის რეფორმის ქვეჯგუფის წევრმა ორგანიზაციებმა, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეციალური კითხვარების მეშვეობით, თავი მოუყარეს ინფორმა-

Using Facebook or the telephone, consumers can ask questions or for advice and receive answers from the Center's expert/consultant on food issues.

European Neighborhood Policy

In 2011, the Center for Strategic Research and Development of Georgia participated in a coalition project implemented with the support of APRODEV. The goal of the Project was to analyze the implementation of Georgia's obligations under the European Neighborhood Policy. In this project the issues studied by the Center's experts included: public procurement and competition policy, intellectual property rights and decentralization.

The Position Paper of the Civil Society Forum for Eastern Partnership (CSF for EaP) to the Conference of Regional and Local Authorities (CORLEAP)

In 2011, with financial support of the Ministry of Foreign Affairs of the Czech Republic, the Center for Strategic Research and Development of Georgia drafted a Position Paper for the Eastern Partnership Civil Society Forum, presented to the Conference of Regional and Local Authorities (CORLEAP), regarding the needs of the local and regional public administration reforms.

At the initial stage, the member organizations of the Civil Society Forum subgroup working on these issues used the methodology and questionnaires developed by the Center for Strategic Research and Development of Georgia to collect information about the challenges faced by their countries in terms of public administration reform. Based on the analysis of this information, the Center's experts drafted the text of a Position Paper consisting of four parts: 1) Introduction: which stressed the importance of the Eastern Partnership Initiative for establishing good governance and democ-

ციას საკუთარ ქვეყნებში ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე მიმდინარე საჯარო მმართველობის რეფორმის კუთხით არსებული გამოწვევების შესახებ. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ცენტრის ექსპერტებმა შეიმუშავეს ერთობლივი მიმართვის სამუშაო ვერსია, რომელიც ოთხი ნაწილისგან შედგება: 1) შესავალი, სადაც ხასგასმულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მნიშვნელობა ნევერ ქვეყნებში კარგი მმართველობისა და ადგილობრივი დემოკრატიის დამკვიდრებისთვის; 2) ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის გამოწვევები და საჭიროებები; 3) რეგიონალურ დონეზე გასატარებელი რეფორმების გამოწვევები და საჭიროებები; 4) რეკომენდაციები, ერთი მხრივ, ევროკავშირის რეგიონების კომიტეტის და, მეორე მხრივ, ნევერ ქვეყნების ადგილობრივი ხელისუფლებების მიმართ.

2011 წლის აგვისტოში, ქ. ბათუმში, ჩატარდა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საჯარო მმართველობის რეფორმის ქვეჯგუფის (PAR SWG of CSF) სამუშაო შეხვედრა, რომლის ძირითადი ნაწილიც ერთობლივი მიმართვის დოკუმენტის განხილვას მიეძღვნა. ბათუმის შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით, ცენტრის ექსპერტებმა დაასრულეს დოკუმენტი, რომელიც 2011 წლის 8 სექტემბერს, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფორუმის სახელით, წარდგენილ იქნა ქალაქ პოზნანში, ევროკავშირის რეგიონების კომიტეტის ინიციატივით გამართულ რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების სადამფუძნებლო კონფერენციაზე (CORLEAP).

racy in the member countries; 2) Needs and challenges of the local self-government reform; 3) Needs and challenges of reforms at the regional level; 4) Recommendations for both the EU Regional Committee and the local authorities of the member countries.

In August 2011, a workshop of the Public Administration Reform Subgroup of the Civil Society Forum (PAR SWG of CSF) took place in Batumi. The main item on the workshop's agenda was discussion of the draft Position Paper. Based on the ideas generated at this event, the Center's experts finalized the document. On the 8th of September 2011 the document was presented by the Civil Society Forum at the inaugural meeting of the Conference of Regional and Local Authorities (CORLEAP) set up by the EU's Committee of the Regions in Poznan.

პროგრამა — კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა

*პროგრამის მიზანია საქართველოში
კორპორაციული სოციალური პასუხისმგე-
ბლობის დანერგვისა და განვითარების
